# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 21 იანვარი, 2010 წელი.

№11 (6377)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## დათვის ლიტინი




8

## ამირეჯიბმა გამოსავალი იპოვა – გურულები გერმანელებს უნდა ჩავანაცვლებინოთო

2

## გონიერების დეფიციტის პირობებში...

3

## „საქართველოში რუსეთის აგრესიის მეორე რაუნდი 2010 წელს არ მოხდება“

2

## „დაქალებული სიყვარული“, ანუ რა აფეთქდა ქუთაისში?



6

## ახალ წელს ახალი ბიბულით

5



## როგორ უნდა ჩატარდეს რეალური რეფორმა?..

7



## ბედნიერი თბილისელი ბიჭი...

11

ხან კვნესოდა, ხან ხალისობდა თემურ ყვითელაშვილის ჯადოსნური გიტარა



## რა მიმართვას უგზავნის ედპ განათლების ახალ მინისტრს?

4

აგებინებენ მინისტრებს პასუხს?!

**ინფორმაცია**

## ახალგორში შესვლაც გამკაცრდა

**20 იანვრიდან პერევის მსგავსად, ადგილობრივი მოსახლეობისთვის შესვლა ახალგორშიც გართულდა.**

რაიონში შესასვლელად მოსახლეობას ქართული პირადობებისა და დაბადების მოწმობების რუსული ასლების წარდგენა მოუწევთ. დოკუმენტები შემოწმდება როგორც ოკუპანტთა, ისე სეპარატისტთა პოსტებზე. ამის მიზეზად ისინი ქართული ენის არცოდნას ასახელებენ.

აღნიშნულს გამოხმაურება უკვე მოჰყვა ოფიციალურ თბილისში. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების შეფასებით, მსგავსი ქმედებებით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ რუსეთი არა თუ ასრულებს საერთაშორისოდ ნაკისრ ვალდებულებებს, არამედ უხეშად არღვევს მას.

— ჩვენ ამაზე მწვავე რეაქცია უნდა გვქონდეს. მართალია, ქვეყანასთა,ნ რომელთანაც დიპლომატიური ურთიერთობა არ გვაქვს, ძნელია ამაზე საუბარი, მაგრამ საერ-



თაშორისო ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ მსგავსი უკანონობები დასრულდეს, — აცხადებს პარლამენტის წევრი გიგი წერეთელი.

ჯი-ეიჩ-ენი

**ჭირი დანახული ჯობს**

# ამირეჯიბმა გამოსავალი იპოვა - გურულები გერმანელებს უნდა ჩავანაცვლებინოთო

სამშაბათ საღამოს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რაოდენ შორსმჭვრეტელურად იქცევა ჩვენი ხელისუფლება, როცა „მაესტროსა“ და „კავკასიის“ მსმენელ-მაყურებელთა წრეს თბილისის ფარგლებს არ აცილებს... თორემ ისედაც ყოველწამიერად ათასგვარი სისულელის მსმენელ საქართველოს ბოლოს და ბოლოს ვაითუ ვიღაც-ვიღაცის თვალში შესცვლოდა თავისი მრავალსაუკუნეგამოვლილი ისტორიული სახელი და სულაც „სისულელეთი“ დარქმეოდა. და რა კარგია, რომ ჩვენს პასპორტებში ეროვნულობის აღმნიშვნელი გრაფა აღარ არის... ნამდვილად გადარჩენილები ვართ...

ეს ერთგვარად აბსურდული აზრი „კავკასიის“, ანუ ჩვენი აქუს არხის სამშაბათის „ბარიერმა“ გამიჩინა. ვინც უსმინა და უყურა, თვითონ იცის, რა დასკვნაც უნდა გამოიტანოს ამ „საბარიერო საღამოდან“, სადაც ბევრი რამ ითქვა ამჟამინდელი ჩვენი ხელისუფლებისა და პირადად პრეზიდენტის ცრუპენტელობაზე, კერძოდ, წლევანდელ გურულ კალანდობასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს არახალია, ძველია.

ამ თვალსაზრისით, ალბათ, არც ის იქნებოდა ურიგო, თუ აწინდელ საქართველოს ერთ-ერთ სახელად „ცრუპენტელეთსაც“ შევურჩევდით... „სისულელეთი“, „ცრუპენტელეთი“... მგონი, რომ ზუსტად გამოხატავს ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას. მიუკერძოებელი ქართველისთვის დღეს მართლაც სისულელეების, სიცრუეებისა და ცრუპენტელობის კორიანტელია ჩვენს გაგზიანებულ, გასინათლიანებულ, გაპოლიციელებულ, გაპიარებულ საქართველოში, რომელმაც აგერ ახლა, თავისი „ვარდისფერის“ დასაცავად თითქმის სამათასიანი ლაშქარი გაგზავნა პარტნიორ უკრაინაში „ნარინჯისფერის“ შესანარჩუნებლად, მაგრამ, დიდად სამწუხაროდ, ერთ-ერთი დაზარალებული მოლაშქრის ფერებისდა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჯერჯერობით „ლურჯი“ და „წითელი“ ფერები სჭარბობს...

ეს ისე, რომ იტყვიან, კალამი გამექცა. ახლა ისევ გურიას მივუბრუნდეთ. „ბარიერის საღამოზე“ მართლაც ძალიან ბევრი ითქვა, თუ რა საშინელ დღეშია გურია და რა გაჭირვებას განიცდიან გურულები — ეს ერთ-ერთი ყველაზე ყოჩაღი ქართველი ტომი, რომელიც თავის დღევანდელ მდგომარეობას, ჩვეულებისამებრ, ასეთი ხუმრობით გამოხატავს:

— თუ იცი რატომ არ დაგვბომბა რუსმა?

— შევეცოდეთ?



— არა. თვითმფრინავიდან რომ ჩამოხედა გურიას, უკვე დამიბომბიაო, თქვა და სამეგრელოსკენ გაფრინდა.

ერთი სიტყვით, თითქმის მთელი „ბარიერის საღამომ“ გურიის გაჭირვებაზე ლაპარაკში ჩაიარა. გურიისთვის აღარც ღმერთია, აღარც მთავრობა და აღარც პრეზიდენტიო, ასეთი





იყო ყველას აზრი, გარდა ვინმე დავით ამირეჯიბისა, რომელიც „კავკასიის“ ეკრანზე ყოველი თავისი გამოჩენისას, ხელისუფლების უსუსური დამცველის აბჯარასხმული, ამაოდ იქნევს ულოგიკობისაგან პირდაბლაგვებულ ხის ხმალს.

ამჯერად კი, ამ ნამდვილად კარგი გვარის კაცმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა:

— გურია თუ დაბომბილი და განადგურებულია, ისევ თვითონ გურულების ბრალიაო... ჩემი ნება რომ იყოს, მე ამ მიწა-წყალზე ორასი ათას გერმანელს ჩამოვასახლებდიო, ერთი წლის შემდეგ წაგიყვანდით და გაჩვენებდით, რომ დღევანდელი ჯოჯოხეთი უკვე სამოთხედ იქნება გადაქცეულიო...

„ბარიერს“ მე ჩემს ერთ გურულ მეგობართან ერთად ვუცქეროდი და ამ ჩემმა მეგობარმა ეგრევე ესემესი „აჯახა“ აქუს:

— გადაეცი მაგ შენს ვარდისფერ ამირეჯიბს, რომ გურულების აყრას და გერმანელების გურიაში ჩამოსახლებას, თანაც ასეთი დიდი რაოდენობით, ხომ არ აჯობებდა, რომ ჩვენი მთავრობა და პრეზიდენტი გერმანიაში გადაგვეყვანა, ხოლო გერმანიის მთავრობა თავის კანცლერ-პრეზიდენტიანად დროებით საქართველოს სათავეში ჩაგვეყენებინაო. და ერთი წლის მერე გაეროს, ევროსაბჭოსა და ნატოს კომისიებთან ერთად გვენახა, რა დღეში იქნებოდა გერმანია და რა დღეში საქართველოო.

გურულები მაინც გურულები არიან. ამ, ვინმე ამირეჯიბისაგან განსხვავებით, შრომაც ბევრად უკეთესად იციან და მრავლისმეტყველი ხუმარსიტყვაც.

გურამ წიკლაური

**პროგნოზი**

***როგორც ჩანს, კრემლმა საქართველოს საკითხებში პრესსპიკერად რუსეთის შს მინისტრის მოადგილე არკადი ედელევი დანიშნა, რომელსაც ოპოზიციურად განწყობილი რუსი ჟურნალისტები „ხარიას“ (დინგი) მეტსახელით მოიხსენიებენ. ედელევმა ჯერ „უფროსი ძმის“ „ეფესბეს“ დუბლირება მოახდინა და განაცხადა, რომ საქართველოში უცხოელი ინსტრუქტორები ტერორისტებს ამზადებენ და ჩრდილოეთ კავკასიაში შეგზავნას უპირებენ. მოგვიანებით კი აღნიშნა, რომ რუსეთის შსს-ს საქართველოს ტერიტორიაზე დივერსანტების მომზადების დამამტკიცებელი საბუთები აქვს.***

***როგორც „მედიანიუსს“ ინგუშმა ექსპერტმა თემურ ახრიევმა განუცხადა, ედელევის განცხადებები ადასტურებს, რომ რუსეთის სამომავლო პროვოკაციებისთვის ფონს ქმნის.***

# თემურ ახრიევი: საქართველოში რუსეთის აგრესიის მეორე რაუნდი 2010 წელს არ მოხდება

— როგორც ჩანს, ოფიციალური მოსკოვი გარკვეული ქმედებებისთვის ემზადება და სწორედ ამას ემსახურება პროვოკაციული საინფორმაციო ფონის შექმნა. დარწმუნებული ვარ, ეს ახალი ომი არ იქნება. თუმცა, საქართველოსთან მიმართებაში გარკვეული პროვოკაციების მოწყობის მცდელობა იქნება. სწორედ ამას ემსახურება პანკისის თემის წინა პლანზე წამოწევა.

**— და რატომ ხართ დარწმუნებული, რომ რუსეთი აგრესიის მეორე რაუნდს არ დაიწყებს?**

— დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ მოხდება 2010 წელს. სამომავლოდ კი, რა იქნება, არავინ იცის. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, მეორე რაუნდი გულისხმობს თბილისის აღებას. ამის არც საერთაშორისო და არც სამხედრო რესურსი რუსეთს





არ აქვს. მეორეც, ედელევის განცხადებებს შიდა მოხმარების მიზანიც აქვს. კერძოდ, ვერც ფედერალურმა ჯარებმა, ვერც შსს-მ და ვერც „ეფესბემ“ ჩრდილოეთ კავკასიაში სიტუაცია ვერ დააწყნარეს. ამიტომაც, რუსეთის საზოგადოებას ეუბნებიან: რა ვქნათ, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, მაგრამ საქართველო გზავნის და გზავნის ტერორისტებს. სიტუაციას ვერ აკონტროლებენ და ზოგჯერ, საქმე აბსურდამდე მიდის. მაგალითად, ჩეჩნეთში შემოიყვანეს ანტიკვარული ჯავშანმატარებლები. უახლესი ტანკებით, ვერტმფრენებითა და რაკეტებით ვერ გააკეთეს ვერაფერი და თურმე, კავკასიის მთებში საქმეს ჯავშანმატარებლები უშველის. ეს იგივეა, ჯომოლუნგმაზე ტანკები რომ გაგზავნო.

**— ედელევის თქმით, რუსეთის შსს-ს აქვს იმის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომ საქართველოში ტერორისტები ემზადებიან.**

— რუსული სპეცსამსახურების მეთოდებს თუ გავითვალისწინებთ, ისინი ნებისმიერს მოაწერინებენ ხელს ჩვენებაზე, რომ პანკისის ხეობაში ბაზებზე ემზადებოდნენ და პარალელურად, იალბუზის მოპარვას გეგმავდნენ. თუმცა, მეთოდები დაიხვეწა. აღარ არის საჭირო ცემა-ტყეპა, როდესაც გყავს ცრუ თვითმხილველების არმია. მაგალითად, 2008 წლის აგვისტოში „თვითმხილველები“ ამტკიცებდნენ, რომ ქართველმა ჯარისკაცებმა ოსები სალოცავში შერეკეს და დაწვეს.

იხ. 4 გვ.

**ინიციატივა**

## კონკურსი ახალგაზრდა მთარგმნელებისთვის

გამომცემლობა „დიოგენემ“ ახალი და განსხვავებული კონკურსის ჩატარება გადაწყვიტა. ამასთან დაკავშირებით გუშინ ეროვნული ბიბლიოთეკის მე-3 კორპუსის საკონფერენციო დარბაზში პრესკონფერენცია გაიმართა. როგორც გამომცემლობის წარმომადგენელმა თამარ ლებანიძემ აღნიშნა, „კონკურსის მიზანია ახალგაზრდა მთარგმნელებს თავიანთი ნიჭის გამოვლინების საშუალება მისცეს. მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 20-დან — 35-წლამდე პირებს. პროზაული ნაწარმოების თარგმანი ნებისმიერი ენიდან ქართულ ენაზე უნდა იყოს შესრულებული. მასალა არ უნდა აღემატებოდეს 10 ნაბეჭდ გვერდს. წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ვერსიის სახით 3 ეგზემპლარიანად და თან დედანი (ქსეროასლიძ უნდა ერთვოდეს.

დაჯილდოება 2010 წლის 23 აპრილს, წიგნისა და უფლებების მსოფლიო დღეს გაიმართება. გამოვლინდება სამი საუკეთესო პროზის მთარგმნელი, რომელიც ვახუშტი კოტეტიშვილის პრემიას მიიღებს. ამასთანავე, ფულადი თანხა 1000 ლარით განისაზღვრება.

ჩვენთვის დღევანდელი დღე მნიშვნელოვანია, რადგან ახალ კონკურსს ჩავუყარეთ საფუძველი და რაც მთავარია, დაწესებული ჯილდო ვახუშტი კოტეტიშვილის სახელს ატარებს. ეს ახალგაზრდა მთარგმნელებისთვის სტიმული იქნება. ამით საქართველოში მთარგმნელების დონე ამაღლდება. დაიბეჭდება საუკეთესო მთარგმნელების კრებული“, — აღნიშნა ქალბატონმა თამარმა.

მსურველებს ნამუშევრების შეტანა 20 იანვრიდან 20 თებერვლის ჩათვლით შეუძლიათ.

ეკა მაშიანოვა

## მეორე ტურის მოლოდინში



***უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში „პრორუსულ“ და „პროდასავლურ“ პოლიტიკოსებად მონათლული კანდიდატები — ვიქტორ იანუკოვიჩი და იულია ტიმოშენკო ლიდერობენ. უკრაინული არჩევნების შეფასება და მომდევნო მოვლენების პროგნოზირება „ინტერპრესნიუსმა“ პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილს სთხოვა.***

# გონიერების დეფიციტის პირობებში...

**— პირველი ტურის შედეგების მიხედვით პირველ ადგილზე 36,86 პროცენტით „პარტია რეგიონების“ ხელმძღვანელი ვიქტორ იანუკოვიჩია, მეორეზე კი 24,31 პროცენტით პრემიერი იულია ტიმოშენკო. არჩევნებამდე სწორედ ასეთი პროგნოზი კეთდებოდა. ასევე ვარაუდობენ, რომ მეორე ტურში ტიმოშენკო დანარჩენი კანდიდატების მხარდამჭერთა ხმებს მიიღებს. რამდენად მოსალოდნელია მოვლენების ასეთი განვითარება?**

— პირველი ტური გახდა იმ სააგენტოების მაღალი პროფესიონალიზმის დასტური, რომლებიც წინასწარ გამოკითხვებს ატარებდნენ. რეალურად დავა იმ საკითხზე იყო, იანუკოვიჩისა და ტიმოშენკოს ხმათა პროცენტების რაოდენობას შორის განსხვავება ერთნიშნა ციფრი იქნებოდა თუ ორნიშნა. საბოლოოდ ორნიშნა ციფრი დაფიქსირდა, თუმცა, სწორია მოსაზრება, რომ დარჩენილ კანდიდატთა ხმები სრულიად საკმარისია, რომ ამ შედეგებს შორის განსხვავება მნიშვნელოვნად გაიზარდოს ან ლიდერი ჩამორჩეს და ტიმოშენკო დაწინაურდეს. საინტერესო მაგალითს იძლევა მესამე ადგილზე გასული ბანკირი. იგი კონკურენტებს შორის ერთადერთი გახლდათ, რომელიც არასოდეს ყოფილა პრეზიდენტის, პრემიერის, რადას თავმჯდომარის პოსტზე და არც ოპოზიციის ლიდერი გახლდათ. ამ არჩევნებზე ყველაზე დიდი მოულოდნელობა ჩემთვის სწორედ ეს არის, რაშიც ვხედავ უკრაინელი ამომრჩევლის დამოკიდებულებას საკუთარი პოლიტიკური რეალობის მიმართ.

თუ მესამე ადგილზე გასული კანდიდატის მსგავსად სხვა კანდიდატებიც განაცხადებენ, რომ საკუთარ ამომრჩეველს არ დააკვალიანებენ, ვის მისცენ მეორე ტურში ხმა, საკმაოდ გაუგებარი ვითარება შეიქმნება. ეს მეორე ტურს დრამატიზმსა და დაძაბულობას შესძენს, რაც არ არის სასურველი იმ დემოკრატიული გარემოს გათვალისწინებით, რომელიც ჩვენგან განსხვავებით, უკრაინულ საარჩევნო პროცესს ახასიათებს.

**— მოსკოვიდან უკვე გაისმა განცხადება, რომ პირველმა ტურმა უკრაინაში ანტირუსული ძალების კრახი დაადასტურა. საბოლოო გამარჯვების იმედი აქვს თავად იანუკოვიჩსაც. რამდენად საფუძვლიანია ასეთი წინასწარი განწყობა?**

— დარწმუნებული ვარ, მსგავსი განცხადების ავტორებს ასეთივე განწყობა ჰქონდათ საპრეზიდენტო არჩევნების დაწყებამდეც. მაგალითად, წინა წლებში ვლადიმერ პუტინმა პრეზიდენტად არჩევა იანუკოვიჩს ორჯერ მიულოცა. ასე რომ, ჯერ ამგვარი პროგნოზის გაკეთება ნაადრევი და აზრს მოკლებულია. მცირედ მაფიქრებს ვიქტორ იუშჩენკოსა და ვიქტორ იანუკოვიჩის უკანასკნელი პირდაპირი კონტაქტები. არ ვიცი, რა სძლევს მოქმედ პრეზიდენტს — საკუთარი პოლიტიკური წარსულის პატივისცემა თუ დღევანდელი პრემიერის მიმართ უკმაყოფილება. არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ თუ იგი იანუკოვიჩის პარტნიორი გახდება, მისი პროცენტი იანუკოვიჩისკენ მიიმართება.

უკრაინაში ახლა სერიოზული ვაჭრობის სეზონი იწყება. ეს სეზონი ხანმოკლეა, ამიტომ ინტენსიური და ამ მოლაპარაკებების პოლიტიკური ფასი საკმაოდ მაღალია.

**— იანუკოვიჩის გუნდის წევრებმა უკვე განაცხადეს, რომ თუ იგი უკრაინის პრეზიდენტი გახდება, უკრაინა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებს. ამ გზით, იანუკოვიჩის მიერ ჯერ კიდევ პრეზიდენტის თანამდებობის დაკავებამდე დაფიქსირდა მისი მკვეთრად ანტიქართული პოზიცია. იანუკოვიჩის გამარჯვების შემთხვევაში როგორ შეიძლება განვითარდეს საქართველოს ურთიერთობა აქამდე მეგობარ უკრაინასთან?**

— ძნელია გვქონდეს პრეტენზიები ჩვენი მეგობარი უკრაინის მიმართ. როცა თბილისი აგზავნის გაურკვეველი მიზნების მქონე 2000 ადამიანს დაუპატიჟებელი სტუმრის სტატუსით უკრაინაში, სჯობს, ჯერ შინ მოვიკითხოთ ქართულ-უკრაინული ურთიერთობების გაუარესების მსურველნი და იმის გარკვევაც ვცადოთ, რომელი ქვეყანაა ასეთი განვითარებით ყველაზე მეტად კმაყოფილი.

რაც შეეხება იანუკოვიჩის პოზიციას აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში, იქნებ, გაპრეზიდენტების შემთხვევაში მან ჯერ კოლეგა ლუკაშენკოს ჰკითხოს, რატომ არ აღიარებს იგი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს ან გადათვალოს მასშტაბი — რა განსხვავებაა ბელორუსსა და უკრაინას შორის და იმდენჯერ მეტი მოითხოვოს რუსეთისგან. ამ განცხადებით იანუკოვიჩმა გაიმყარა სწორედ ის რესურსი, რის იმედადაც მოდიოდა — ანუ რუსეთის მხარდაჭერა.

**— რისი გამოვლინება იყო უკრაინაში ქართველი დამკვირვებლებისა და ჟურნალისტების გარშემო განვითარებული მოვლენები და, ზოგადად, საით მიდის ქართულ-უკრაინული ურთიერთობები?**

— ეს ქართულ-უკრაინული ურთიერთობებისთვის ძალიან მძიმე ფაქტია, რაც კრემლის ოცნებაა. იმედი მაქვს, პრეზიდენტს შესწევს უნარი, დაასახელოს ის გვარები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს კრემლის ოცნების ასრულებას და დაარწმუნეს პრეზიდენტი, რომ 2000 ადამიანი რაიმე ტიპის არჩევნებზე დასაკვრვებლად ნორმაა. საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე ასეთი სამარცხვინო ნაბიჯი ჯერ არ გადაუდგამს. შედეგად, ვინც არ უნდა გახდეს პრეზიდენტი, ის ნებით თუ იძულებით, იძულებული იქნება, სავიზო რეჟიმი შემოიღოს.

**— იანუკოვიჩის გამარჯვების შემთხვევაში როგორი რეაქცია და დამოკიდებულება ექნება ახალი პრეზიდენტის მიმართ დასავლეთს?**

— დასავლეთს ჯერ იანუკოვიჩთან მუშაობა არ დაუწყია. იყო მხოლოდ მისი პიროვნების გარკვეული შესწავლა. ამიტომ მე არ ვარ სკეპტიკურად განწყობილი, არ ვიზიარებ ქართული ტელეკომპანიებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების აზრს და გვარ იანუკოვიჩს „პრორუსულად ორიენტირებული პოლიტიკოსის“ ეპითეტს არ წავუმძღვარებ. ასეც რომ იყოს, პრეზიდენტობის კანდიდატისთვის ამის წამოძახება უზრდელობა და სრულიად არადიპლომატიურია. მომავალს შექმნის ის გონიერება, რომლის უნარიც გვექნება. გონიერების დეფიციტის პირობებში არის საფრთხე, რომ დავკარგოთ ისეთი პარტნიორი ქვეყანა, როგორიც უკრაინაა.

**მანანა მჭედლიშვილი**

## პერსონა

# უკრაინის ახალი პრეზიდენტი, შესაძლოა, იანუკოვიჩი გახდეს

**უკრაინის ახალი პრეზიდენტი, შესაძლოა, პარტია „რეგიონების“ ლიდერი ვიქტორ იანუკოვიჩი გახდეს.**

ვიქტორ იანუკოვიჩი 1950 წლის 9 ივლისს ენაკიევოში (დონეცკის ოლქი) მოსამსახურის ოჯახში დაიბადა. მიიღო უმაღლესი განათლება. დაასრულა დონეცკის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით და ვაჭრობის უმაღლესი აკადემია. არის საერთაშორისო სამართლის მაგისტრი. მის ბიოგრაფიაში ორი ნასამართლეობა ფიგურირებს — ძარცვისა (1967 წელი) და სხეულის მსუბუქი დაზიანების (1970 წელი) მუხლით. იყო კრიმინალური დაჯგუფების „პიდნოვკას“ წევრი.

2004 წლის ოქტომბერში უკრაინის სასამართლოში მოქალაქე ხიმოლჩენკომ იანუკოვიჩის წინააღმდეგ ქალბატონის გაუპატიურებასთან დაკავშირებით სარჩელი შეიტანა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახურმა ინფორმაციაც გაავრცელა, რომელშიც იანუკოვიჩი აღნიშნულ ბრალდებას უარყოფდა და ამტკიცებდა, რომ ის გოგონას ქუჩის კრიმინალთაგან იცავდა. 2006 წელს მას ბრალს ასევე სდებდნენ დოკუმენტების გაყალბებაში.

იანუკოვიჩის სამუშაო კარიერა 1969 წლიდან იწყება. თავდაპირველად იგი ენაკიევის მეტალურგიულ ქარხანაში ავტოშემკეთებლად და მექანიკოსად მუშაობდა. 1996 წლის აგვისტოში იანუკოვიჩი დონეცკის სამხარეო ადმინისტრაციის ჯერ ხელმძღვანელის მოადგილედ, ხოლო ერთი თვის შემდეგ პირველ მოადგილედ დაინიშნა. 1997 წლის მაისიდან 2002 წლის ნოემბრამდე გუბერნატორის თანამდებობაზე მუშაობდა.

იყო დონეცკის ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი. 2002 წლის 21 ნოემბრიდან ყოფილმა პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ იანუკოვიჩი უკრაინის პრემიერ-მინისტრად დანიშნა. 2003 წლის აპრილში კი დონეცკის ექს-გუბერნატორი „რეგიონების“ პარტიის თავმჯდომარე გახდა. 2004 წლის ივნისში იგი თანაპარტიელებმა პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელეს. ექსპერტების შეფასებებით, იანუკოვიჩის საარჩევნო კამპანია ძლიერი ფინანსური მხარდაჭერითა და ადმინისტრაციული რესურსების აქტიური გამოყენებით მიმდინარეობდა. მიუხედავად იანუკოვიჩის უკრაინის სამხრეთსა და აღმოსავლეთში განსაკუთრებული პოპულარობისა, მან ოპოზიციონერი კანდიდატის ვიქტორ იუშჩენკოს დამარცხება ვერ შესძლო. საპრეზიდენტო არჩევნებში განცდილი მარცხის შემდეგ კი, დაახლოებით წელიწადნახევარი იანუკოვიჩმა პოლიტიკური ტაიმ-აუტი აიღო, რის გამოც, ადგილობრივი ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ის პარტიის ლიდერის პოსტს დატოვებდა, თუმცა მათი იმედები არ გამართლდა და 2006 წლის გაზაფხულზე „რეგიონების“ პარტიამ იანუკოვიჩის ხელმძღვანელობით, უკრაინის რადას ზედა პალატაში ხმათა უმრავლესობა მოიპოვა და სოციალისტებსა და კომპარტიასთან ერთად საპარლამენტო უმრავლესობა — „ანტიკრიზისული კოალიცია“ შექმნა. მმართველი კოალიციის თანათავმჯდომარეების პოსტი კი ვიქტორ იანუკოვიჩმა და ალექსანდრ მოროზმა ჩაიბარეს.

2006 წლის 4 აგვისტოს უმრავლესობისა და პრეზიდენტ იუშჩენკოს ფრაქციის „Наша Украина“-ს ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ იანუკოვიჩი პრემიერ-მინისტრის პოსტზე მეორედ დაინიშნა. პრემიერად დანიშვნისა და ახალი მინისტრთა კაბინეტის ფორმირების შემდეგ პროგნოზები არაერთგვაროვანი იყო. ერთნი მიიჩნევდნენ, რომ იანუკოვიჩი თავისი გუნდით პოლიტიკური ლანდშაფტის ბალანსირებისთვის ოპტიმალური ვარიანტი იყო. დანარჩენები კი მიიჩნევდნენ, რომ პრემიერი პირველ რიგში



მსხვილი ბიზნესისა და ცალკეული ფინანსური ჯგუფების ინტერესებს დაიცავდა, შიდაპოლიტიკურ ფრონტზე კი მისი პოლიტიკა ლეონიდ კუჩმას მიდგომებისაგან არაფრით იქნებოდა განსხვავებული. ხელისუფლებაში მეორედ მოსვლის შემდეგ იანუკოვიჩმა და ანტიკრიზისულმა კოალიციამ პრეზიდენტ იუშჩენკოზე აქტიური თავდასხმები დაიწყეს. ისინი ცდილობდნენ მინისტრთა კაბინეტისა და პარლამენტის სასარგებლოდ, მისთვის რაც შეიძლება მეტი უფლებამოსილება ჩამოეცილებინათ.

ეს პროცესი იმდენად აქტიური და შედეგიანი იყო, რომ სახელმწიფოს მეთაური საბოლოოდ იძულებული გახდა რამდენიმე ბრძანებულება გამოეცა, მათ შორის მეხუთე მოწვევის რადას უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტისა და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების მოწვევის შესახებ. კოალიციამ ამ გადაწყვეტილებების წინააღმდეგ მწვავე რეაქცია გამოხატა და კიევში მხარდამჭერთა მრავალათასიანი მიტინგი მაშინვე გამართა. მძიმე დაპირისპირებისა და რიგი რთული მოლაპარაკებების შემდეგ კონფლიქტის მხარეებმა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების თარიღად 2007 წლის 30 სექტემბერი გამოაცხადეს. არჩევნების შედეგად რეგიონების პარტიამ 175 მანდატი მოიპოვა. საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელობა კოლეგებმა იანუკოვიჩს ანდეს. იანუკოვიჩივე ჩაუდგა სათავეში „რეგიონელების“ მიერ ფორმირებულ ჩრდილოვან კაბინეტს.

ვიქტორ იანუკოვიჩი რამდენიმე ჯილდოსა და ორდენის მფლობელია. არის „ღირსების“ მესამე ხარისხის ორდენის, უკრაინის ტრანსპორტის დამსახურებული მოსამსახურის და სხვა სახელმწიფო ჯილდოების კავალერი. „რეგიონების პარტიის“ ლიდერი ასევე არის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის მოქმედი და უკრაინის ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის წევრი. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი. უფროსი ალექსანდრე ექიმი-სტომატოლოგია, უმცროსი ვიქტორი კი უკრაინის რადას V და VI მოწვევის სახალხო დეპუტატი და რეგიონების პარტიის წევრი. იანუკოვიჩის ინტერესთა სფეროს სპორტი (ჩოგბურთი), ნადირობა და მტრედების მოვლა განეკუთვნება. გამოქვეყნებული დეკლარაციის მიხედვით, იანუკოვიჩის ფინანსურ კაპიტალს 290 725 გრივნა წარმოადგენს, საიდანაც ძირითად 290 514 გრივნა მისი სახელფასო დანაზოგია. ოჯახის წევრთა საერთო შემოსავალს კი 14 058 გრივნას წარმოადგენს. როგორც დეკლარაცია იტყობინება, იანუკოვიჩი ფლობს 162 კვ.მ სახლს 22 კვ.მ ავტოფარეხით. მის საკუთრებაშია ასევე 6567 აქცია. მის საბანკო ანგარიშზე კი 211 712 გრივნა ირიცხება.

განათლება

# რა მიმართვას უგზავნის ედპ განათლების ახალ მინისტრს?



**ეროვნულ-დემოკრატების ოფისში გუშინ დეპუტატმა გურამ ჩახვაძემ პრესკონფერენცია გამართა. მან მიმართა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს დიმიტრი შაშკინს, განათლების რეფორმაში ასახოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საშობაო ეპისტოლეში გამოთქმული მოსაზრებები.**

ყველამ ვიცით, რომ განათლების რეფორმა საქართველოში რევოლუციური მთავრობის მოსვლას უკავშირდება. „ვარდისფერებმა" განათლების ძველი მეთოდები დაიწუნეს და საფუძველი ჩაუყარეს რაღაც სრულიად ახალს, რომელსაც კონკრეტული სახელი ჯერ არა აქვს. განათლების სისტემაში კარგად ჩახედული ადამიანები კი მიიჩნევენ, რომ ადრინდელი სწავლების მეთოდები სრულებითაც არ ნიშნავდა კომუნისტურს, ვინაიდან ის თავის დროზე ევროპულ, უფრო კონკრეტულად – სწავლების გერმანულ მეთოდიკაზე იყო დაფუძნებული, რომელიც საბჭოელებმა კომუნისტური იდეოლოგიით გააჯერეს. ამ იდეოლოგიას თუ ეროვნულით ჩავანაცვლებდით, უფრო მარტივად შეიძლებოდა მოგვარებულიყო განათლების რეფორმა, მაგრამ ვინაიდან ასე არ მოხდა,



ახლა გარდაქმნის შედეგებს ვიმკით. თუმცა კი „რეფორმატორებს" შედეგებზე ლაპარაკი ამ ეტაპზე ნაადრევი ჰგონიათ. შედეგი მაშინ იქნებოდა სახეზე, როცა ბავშვი პირველი კლასიდან ბოლომდე რეფორმირებული სწავლების მეთოდების სრულ კურსს გაივლიდა. ამისთვის კი წინ გრძელი ხუთი წელიწადი გველო.

გასული ხუთი წლის მანძილზე რამდენიმე განათლების მინისტრი შეიცვალა, ხოლო დაწყებული საქმის ბოლომდე ჩამოყალიბებული სახით საზოგადოებამდე მიტანა არც ერთს არ დასცალდა. ლომაიამ თუ ააყირავა განათლების სისტემა, გვარამიამ მას პოლიციური ელემენტები შესძინა, ხოლო დიმიტრი შაშკინის დროს შეიძლება სკოლა არათუ სასწავლო, არამედ სამხედრო დაწესებულებას დაემსგავსოს. თავდაცვის სამინისტროს ასე სიღრმისეულად განათლების რეფორმებში ჩართვა, შესაძლოა, კარგიც კი იყოს, ოღონდ მთავარია, „სკოლის გასამხედროებამ" გადამლაშებული სახე არ მიიღოს.

გურამ ჩახვაძეს ახალი მინისტრის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. პირიქით, ის ამბობს, რომ რახან დიმიტრი შაშკინი არასამთავრობო სექტორიდან არის მოსული, ის პოლიტიკურ კონიუქტურას არ ემორჩილება და მზად არის რევოლუციური ნაბიჯებისთვის. „რევოლუციისთვის" კი საბიუჯეტო ასიგნაციები, კვალიფიციური კადრი და სასწავლო სახელმძღვანელოების გადახალისებაა საჭირო, – მიიჩნევს დეპუტატი. ამის შესახებ თავად განათლების ახალმა მინისტრმაც უკვე მრავალჯერ მიანიშნა, და სწორედ ამ კუთხით გეგმავს ის რეფორმებს. როგორ დასცალდება ამის განხორციელება, ეს კი ნამდვილად არ არის მინისტრის საქმე.

რაც შეეხება უწმინდესის საშობაო ეპისტოლეს, ჩახვაძის აზრით, **„ილია მეორე გამოთქვამს კონკრეტულ მოსაზრებებს ქართული ინტელიგენციის სოციალური სტატუსის ამაღლების, ასევე სკოლებში ანალიტიკური აზროვნების კურსისა და აღმზრდელობითი დანიშნულების საგნის შემოღების შესახებ, რომელთა მიზანი მოზარდი თაობისთვის ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული ანალიტიკური აზროვნების უნარი და საზოგადოებაში ქცევის კულტურის ჩამოყალიბება იქნება.**

**უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, ეს არის სოციალური პედაგოგიკა, რომელიც აპრობირებულია უცხოეთში და ბავშვს ასწავლის, როგორ მოიქცეს საზოგადოებაში", – დასძინა გურამ ჩახვაძემ.**

ედპ, ეყრდნობა რა სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების დებულებებს, მიაჩნია, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ზემოხსენებული მოსაზრებები სახელმწიფომ უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს და მიმართავს მთავრობას, კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ბატონ დიმიტრი შაშკინს, ასახოს ისინი განათლების რეფორმაში.

**თეა მოსია**

# აგებინებენ მინისტრებს პასუხს?!

**განათლება ჩვენს ქვეყანაში ისევ აქტუალური თემა გახდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრი კიდევ ერთხელ შეიცვალა და ამ უწყების მეთაურობა დიმიტრი შაშკინმა ითავა. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ის უკვე მეოთხე მინისტრია ამ პოსტზე. 2004 წელს დაწყებული განათლების რეფორმა ფაქტობრივად ჩავარდა და საქმეს ვერც მინისტრების განუწყვეტელმა ცვლამ უშველა.**

მართალია, ხელისუფლება ვითარებას სხვაგვარად ხატავს, თითქოს ეს ხუთი წელი რეფორმის პირველი და მოსამზადებელი ეტაპი იყო, განათლების სრულიად ახალ სისტემაზე გადასასვლელად, მაგრამ ცხადია, რომ გარკვეული შეცდომების გამო, სასურველი შედეგი ვერ მივიღეთ. უფრო მეტიც, ექსპერტების უმრავლესობა აღიარებს განათლების სისტემაში განხორციელებული ცვლილებების, რბილად რომ ვთქვათ, ხარვეზებს. ასეა თუ ისე, რეფორმის მეორე ეტაპი იწყება და მას დიმიტრი შაშკინი განახორციელებს. თუმცა ოპოზიცია არ აპირებს ხელისუფლებას და ყოფილი განათლების მინისტრებს შეცდომები ასე ადვილად აპატიოს.

ცოტა ძნელია, გვჯეროდეს, რომ ვინმე პასუხს აგებინებს თუნდაც ალექსანდრე ლომაიას დაკარგული თანხების გამო, მით უმეტეს მაშინ, როცა ოპოზიციასაც განათლება და სხვა დანარჩენიც არჩევნების წინ ახსენდება. დანარჩენ დროს კი ხელისუფლებასთან უშედეგო კინკლაობაში ატარებს და გაერთიანებაც ვერ მოუხერხებია. ასე რომ არ ყოფილიყო და ვინმე მაინც მდგარიყო მოწოდების სიმაღლეზე, ფართომასშტაბიანი აქციები გაემართა ან პოლიტიკური ბრძოლის სხვა ხერხისთვის მიემართა (ეგ მაინც ხომ იციანძ, სწავლის გადასახადს უზომოდ არ გაზრდიდნენ. მაშინ მოვალეობის მოხდის მიზნით ერთი-ორმა ოპოზიციურმა პარტიამ ორწუთიანი ბრიფინგი მიუძღვნა ამ თემას, ისიც ტელევიზორში გამოსაჩენად და მორჩა! სტუდენტებმა, პროტესტის მიუხედავად, ვერაფერი შეძლეს (მათი აღარ ეშინიათძ და ყველაფერი ისე დარჩა, როგორც დღეს არის.

ამ დროს კი კონსერვატიული პარტია განათლების ყოფილი მინისტრების – გია ნოდიას, ნიკა გვარამიას და კახა ლომაიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას და გამოძიების დაწყებას ითხოვს. როგორც პარტიის ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, განათლების რეფორმისთვის, რომელიც 2004-2009 წლებში ჩატარდა, გამოყოფილი 2 მილიარდ ლარზე მეტი ფუჭად გადაყრილი აღმოჩნდა და ამისთვის პასუხი სწორედ ხელისუფლებას და ყოფილ მინისტრებს უნდა მოეთხოვოთ.

**– ქვეყანაში, სადაც 100-ლარიან გადაცდომაზე ადამიანებს იჭერენ, პასუხი უნდა აგონ იმ ადამიანებმა, რომლებმაც მილიარდზე მეტი ღირებულების პროექტი ჩააგდეს, – ასეთია კონსერვატორების პოზიცია.**

მათი ინფორმაციით, კონტროლის პალატამ დადო ანგარიში, სადაც ალექსანდრე ლომაიამ ვერ წარმოადგინა 40 მილიონი ლარის ხარჯვის შესაბამისი დოკუმენტაცია, რადგან „ეს პროექტები კორუფციული იყო".



კონსერვატიული პარტია იმედოვნებს, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მაინც დაისჯებიან დამნაშავენი, მაგრამ ავიწყდებათ, რომ მათი მოქმედებებიდან გამომდინარე, ეს ცვლილება არათუ 2013 წლამდე, იმის იქითაც შეიძლება გადაიწიოს. თან მანამდე ახალი რეფორმა იწყება, რომელიც კაცმა არ იცის, რა შედეგს მოგვიტანს, ახლა მაინც თუ არ გავუწიეთ მეთვალყურეობა. საინტერესოა, ოპოზიციურმა პარტიებმა თუ იციან, რაზეა საუბარი და რამდენი ლარი დაიხარჯა ახალ პროექტზე, თუ ესეც არჩევნების წინ გაახსენდებათ, როცა ურემიც გადაბრუნებული იქნება და გზაც ნათელი.

მართალია, კონსერვატიული პარტია პროკურატურაში დააყენებს ხსენებული მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხს, მაგრამ მათი მცდელობა წყლის ნაყვას ჰგავს. – თავის თავს ვინ ასამართლებს?

**ანა წიწილაშვილი**

ინიციატივა

# ენებს უფასოდ შეისწავლიან

**ერეკლე II-ის საზოგადოებამ გადაწყვიტა უფასო კურსების ჩატარება რუსულ და ქართულ ენებში – ახალგაზრდებს შეასწავლიან არა მარტო ქართულ ენას, არამედ საქართველოს ისტორიასაც. სწავლა შეეძლებათ როგორც ქართველ და რუს, ისე სხვა ეროვნების წარმომადგენლებსაც.**

ამჟამად კურსების გასავლელად ჩაწერილია 12 ადამიანი. მათგან 4 ბაქოში მცხოვრები აზერბაიჯანელია, 5 – რუსი და 1 – ქურთი. შედგება 2 ჯგუფი. ერთ ჯგუფში გაერთიანდებიან ახალგაზრდები, რომლებმაც საერთოდ არ იციან ენა, ხოლო მეორე ჯგუფს შეადგენენ ისინი, ვინც ნაწილობრივ იცის წერა-კითხვა, მაგრამ მათი სურვილია, უფრო საფუძვლიანად შეისწავლონ ქართული თუ რუსული ენების ისტორია და ლიტერატურა.

რაც შეეხება დაფინანსებას, ერეკლე II-ის საზოგადოების თავმჯდომარის არჩილ ჭყოიძის თქმით, მათ არავინ აფინანსებთ... იყო დაპირებები ბიზნესმენებისგან, მაგრამ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებიდან მუქარის გამო მათ დაპირებაზე უარი განაცხადეს, რამდენიმე მათგანი 3000 ლარითაც დაუჯარიმებიათ.

– ჩვენი მიზანია, დათბეს ურთიერთობები ქართველ და რუს ერებს შორის. როგორც რუსული, ისე ქართული მხარის წარმომადგენლებმა უკეთ უნდა გაიცნონ ერთმანეთის კულტურა და ისტორია, – განაცხადა არჩილ ჭყოიძემ.

**თაკო შაიშმელაშვილი**

პროგნოზი

# თემურ ახრიევი: საქართველოში რუსეთის აგრესიის მეორე რაუნდი 2010 წელს არ მოხდება

(მეორე გვერდიდან)

**– ედელევის თქმით, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე დაკავებულმა ბოევიკებმა აღიარეს, რომ ისინი ტერორისტული საქმიანობის დასახვეწად პანკისში მიდიოდნენ. ამ განცხადების გეოგრაფიული დეტალი კომიკური არ გეჩვენებათ?**

– სხვათა შორის, მე სპეციალურად რამდენიმე წყაროთი გადავამოწმე, მართლა ახსენა თუ არა ედელევმა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის მონაკვეთი. ვიფიქრე, იქნებ ჟურნალისტებმა შეცდომა დაუშვეს და ედელევმა საქართველო-რუსეთის ან აზერბაიჯან-რუსეთის საზღვრის მონაკვეთზე ისაუბრა. არა, ედელევმა ნამდვილად თქვა, რომ 2009 წლის ზაფხულში საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე დაკავებულმა ბოევიკებმა აღიარეს, რომ ისინი პანკისის ხეობაში შესვლას გეგმავდნენ. საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, როგორც ვიცი, რუსი მესაზღვრეები არ დგანან. დავუშვათ, აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა დააკავეს საქართველოდან მიმავალი ინკოგნიტო ბოევიკები და ისინი რუსებს გადასცეს. ეს ორმაგი აბსურდია: კერძოდ, საქართველოში მყოფი ბოევიკები პანკისის ხეობაში მოსახვედრად გადადიან აზერბაიჯანში, იქიდან ისევ გადმოდიან საქართველოში და შედიან პანკისში. მესამე ვარიანტი: რუსეთთან ომის მდგომარეობაში მყოფი საქართველო აპატიმრებს აზერბაიჯანიდან მიმავალ ბოევიკებს და გაურკვეველი მიზეზების გამო, რუსეთის შსს-ს აწვდის ინფორმაციას, რომ ეს ბოევიკები პანკისში მდებარე ტერორისტულ ბაზებზე მიდიოდნენ. შესაძლოა, ბოევიკებმა არ იცოდნენ გეოგრაფია და პანკისი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე ან აზერბაიჯანში ეგონათ. დამერწმუნეთ, რუსეთის ოფიციალური პროპაგანდის გადამკიდე, პანკისი კალინინგრადიდან ვლადივოსტოკამდე ყველამ იცის. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ბევრ რუსს პანკისი უზარმაზარი ველური ტერიტორია ჰგონია, სადაც ყოველ ხეზე თითო წვერებიანი ბოევიკი ზის.

**– რუსეთის სამომავლო პროვოკაციების სამიზნე პანკისი იქნება? ისიც საინტერესოა, თუ რა მასშტაბის იქნება ეს პროვოკაციები.**

– არა მგონია, რადგან კარგად ვიცნობ რუსულ პროპაგანდას. კერძოდ, ამ პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი თვისება ის არის, რომ როდესაც საუბარია კონკრეტულ ტერიტორიაზე, ეს კეთდება იდეოლოგიური თუ პირდაპირი შეტევის ძირითადი მიმართულებიდან ყურადღების გადატანის მიზნით. მაგალითად, 2008 წლის აგვისტომდე და აგვისტოში რუსეთი არც იდეოლოგიურად და არც სამხედრო გზით არ იბრძოდა ცხინვალისთვის და ჯავისთვის და არც ახლა იბრძვის. ის იბრძოდა აფხაზეთისთვის. დღესაც რუსეთს სულ არ აინტერესებს პანკისის ხეობა, მის ინტერესში სულ სხვა რეგიონია.

**– კონკრეტულად?**

– თრუსოს ხეობა და საქართველოს სამხედრო გზა. საქართველოს ხელისუფლების ადგილას ძალზე ფრთხილად ვიქნებოდი. ჩრდილოეთ ოსეთში დადიან გარკვეული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ხელმოწერებს აგროვებენ და აპირებენ მიმართონ რუსეთის პრეზიდენტს „ოსური" ყაზბეგისა და თრუსოს ხეობის შემოერთების მოთხოვნით.

**– ორგანიზაცია „დარიალს" გულისხმობთ? ასევე, საინტერესოა, თქვენი აზრით, როდის განახორციელებს რუსეთი კონკრეტულ ქმედებებს თრუსოს ხეობის მიმართულებით?**

– „დარიალის" გარდა, კიდევ 5-6 ორგანიზაცია მოქმედებს, რომელთაც ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტი თეიმურაზ მამსუროვი აფინანსებს. რაც შეეხება კონკრეტულ ნაბიჯებს, ყველაფერი საქართველოზეა დამოკიდებული. თუ თქვენმა მოწინააღმდეგეებმა სისუსტე დაინახეს, კონკრეტულ ქმედებებსაც ელოდეთ. ამ ეტაპზე კი, მხოლოდ ნიადაგის მოსინჯვა მიმდინარეობს.

გლობუსი

# ახალ წელს ახალი ტიტულით

**მაკკეინობაც უკან დარჩა, უკრაინის არჩევნებიც, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევნებიც, ორი შობით და ორი ახალი წლით გამოწვეული სიხარულიც, ბათუმ-თბილისის კონცერტებიც, სხვა „ღირსშესანიშნავი“ მოვლენაც. დავუბრუნდით მონოტონურ გაუსაძლისობას, სამივე „რუსთავი“ დღენიადაგ ბედნიერებად რომ გვიხატავს. ახალი წელი საქართველომ ახალი ტიტულით დაიწყო. უკრაინელ პოლიტიკოსთა განმარტებით მას რბილად ავანტიურისტი ჰქვია.**

ბედი აქვსო – სწორედ საქართველოზე უნდა ითქვას ასეთი პრეზიდენტის, პოლიტიკოსების, ელექტრონული მედიის ყოლისათვის. სამივეს ისე კარგად ეხერხება ზღაპრების მოყოლა, წამით გაფიქრებინებთ იქნებ მართლაც ასეაო? მეექვსე წელია ვისმენთ პრეზიდენტის ზღაპრებს, მაგრამ არ იფიქროთ მოგვბეზრდა. მისი ფანტაზიის უნარი, იმპროვიზაცია, მოზეზრების შანსს არ გვიტოვებს. ყოველი ახალი ზღაპარი ძირფესვიანად განსხვავდება ძველისაგან. **პრეზიდენტის ზღაპრები, საქმენი საგმირონი, შორს გასცდა სამშობლოს და ისეთი პოპულარობა მოიპოვა – შურს რომ აღძრავს. მაინც რა ხალხია ეს რუსები – ყველაფერი შურთ ჩვენი: ზღვა, მთები, ღვინო, ბორჯომი და თქვენ წარმოიდგინეთ პრეზიდენტიც. ამას წინათ ქართველ პოლიტიკოსთა სათაყვანებელმა ნოვოდვორსკაიამ RTVI-ს ეთერში ინატრა – ნეტავ სააკაშვილისთანა პრეზიდენტი გვყავდესო.**

**დამერწმუნებით ალბათ, მეზღაპრეობა რომ იოლი საქმე არ არის, მით უმეტეს, როდესაც ზღაპრების ასაკს გადაცილებული, მაგრამ ბაგა-ბაღის ასაკში ჩარჩენილი მსმენელი გვყავს, რამდენი შრომა, ტვინის ჭყლეტა, ნიუანსის გათვალისწინებაა საჭირო „დიდი ბავშვების“ გემოვნების დასაკმაყოფილებლად? ჰოდა, შრომობს პრეზიდენტი. ღამეებს თეთრად ათენებს და შოთის პურებივით აცხობს ახალ-ახალ ზღაპრებს, რითაც ჩვენც „გვახარებს“ და მსოფლიოსაც.**

ერთი ასეთი ზღაპარი მაკკეინის ვიზიტის დროს გაგვანდო. ამბავი ვიეტნამში მეომარი რუსი ლეიტენანტის და ამერიკელი მფრინავისა – როგორ აართვა ტყვედ ჩავარდნილ ამერიკელებს რუსმა რევოლვერი, როგორ მოხვდა იარაღი ცხინვალში და შემდეგ პრეზიდენტის ხელში. სააკაშვილი ისეთი გატაცებით ყვებოდა შორეული ვიეტნამის ზღაპარს, თითქოს თვით ყოფილიყო მხილველი, თითქოს ვიეტნამის ომი სულ რაღაც ერთი წლით უსწრებდა ცხინვალისას, თითქოს რუსი ლეიტენანტი მრავალი წლის განმავლობაში სპეციალურ კამერაში ჰყავდათ დაკონსერვებული, რის შემდეგაც ცხინვალის ომში უკრეს თავი. რაც მართალია პრეზიდენტმა არ დაუკარგა რუს ლეიტენანტს წარმატებული სამხედრო კარიერა და თქვა, რომ ვიეტნამის ომის მონაწილე ლეიტენანტი, ცხინვალის ომში გენერლის ჩინით ილებდა მონაწილეობასო. **სააკაშვილის ზღაპრის გმირი, როგორც ჩანს, დიდი სამხედრო ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული. ის არათუ სახელგანთქმულ მხედართმთავარ ჟუკოვს „უჯოკრავს“, არამედ ერთად აღებულ სუვოროვ-კუტუზოვსაც. ასე რომ არ ყოფილიყო, ვინ მიაღებინებდა მონაწილეობას მოხუცებულ გენერალს ცხინვალის ომში? მით უმეტეს მას შემდეგ, რაც თავდაცვის მინისტრმა სერდიუკოვმა არათუ 75 წლის, არამედ გაცილებით ახალგაზრდა გენერლებს დაატოვებინა არმია.**

**მეზღაპრემ არც ამჯერად დაინდო რუსეთი და რუსი. გენერალს ტანკის ბენზინის გაყიდვაც დააწერა და ბენზინში წყლის გაზავებაც. გენერალმა თურმე ბენზინის გაყიდვით გული რომ იჯერა, მყიდველს უთხრა – ბენზინი ჩვენ გვჭირდება, ბრძანება გვაქვს თბილისზე მარშისო და თუ არ გეწყინება, ბენზინის ნაცვლად ამ იარაღს მოგყიდითო. ასე იარა იარაღმა ცხინვალიდან თბილისში, შემდეგ კი მაკკეინის ხელში აღმოჩნდა.**

**პრეზიდენტს არ დაუკონკრეტებია, რომ იარაღი მაკკეინისა იყო. ეს ჩვენ თვითონ უნდა გვეგულისხმა. იარაღის გადაცემის სცენის სენტიმენტალურობამ ინდური ფილმებისას გადააჭარბა. ნაამბობით დიდად გაიხარეს ქართველმა ტელემაყურებლებმა და, რაც მთავარია, ამერიკელმა სტუმრებმა, თუმცა ზოგიერთს, უნებლიე კითხვებიც დაებადა – ხმარობენ თუ არა ტანკები ბენზინს და შეიძლება თუ არა ბენზინში წყლის შერევა. ცხადია სხვა კითხვებიც გაჩნდა – სამარადისოდ პასუხგაუცემელი. ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.**

საქართველოზე „შეყვარებული“ მაკკეინის ვიზიტი დიდის გულმოდგინებით იყო გაშუქებული სამივე „რუსთავის“ მიერ – მსოფლიოს უგავლენიანესი პოლიტიკოსი, დიდი პოლიტიკური მოღვაწე და ა. შ. მაკკეინის ვიზიტს აღტაცებით შეხვდა არა მარტო ე. წ. საპარლამენტო ოპოზიცია, არამედ ქუჩისაც. **მაკკეინთან შეხვედრის მონაწილე თარგამაძეს, გაჩეჩილაძეს და უსუფაშვილს ისეთი ბედნიერი ელფერი გადაჰკრავდათ სახეზე, თითქოს იესოს შეხვედროდნენ.** გაჩეჩილაძემ ტელეკამერებთან ოპოზიციური დაიჭირა – სინამდვილის სათქმელად შევხდიო. მათ კი, ვისთვისაც სენატორთან შეხვედრა აუსრულებელ ოცნებად დარჩა, არც მეტი, არც ნაკლები – შემდეგი განცხადება გააკეთეს: მაკკეინი სააკაშვილის დასაჭკვიანებლად გამოგზავნესო. ის შეაგნებინებს სააკაშვილს გადადგომას ან პოლიტიკის შეცვლასო, „მაკკეინი კარგად ხვდება, რა საჩიფათო ნივთიერებასთან აქვს საქმე. ისეთი როგორიც სააკაშვილია, რამდენად შეიძლება დაიღუპოს არა მარტო საქართველო, არამედ აშშ-ს ინტერესები კავკასიაში“, – ამბობს ზაქარეიშვილი. სხვა მოსაზრებებიც მრავლად იყო, განსაკუთრებით ისეთი, როგორიცაა – მაკკეინი წაიყვანს მიშას. **ნახევარი წელი გავიდა ბაიდენის ვიზიტიდან, მაგრამ „წაყვანასთან“ დაკავშირებული ქართული მოსაზრება არ შეცვლილა. მაშინაც სხვისი მოიმედე ქართველობა საკუთარ პრობლემას ბაიდენს ჰკიდებდა. არ გამართლდა. არც ამჯერად გამართლდება: ქართულმა საზოგადოებამ ვერ შეიგნო, რომ ამ და სხვა მიშას წაყვან-წამოყვანა მასზე და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული და არა ბაიდენებზე, მაკკეინებზე, სხვებზე და სხვებზე. მაკკეინის, ისე როგორც ბაიდენის ვიზიტს ერთი მიზანი ჰქონდა – საყოველთაოდ „არჩეული“ სააკაშვილისთვის მხარის დაჭერა. სამწუხაროა, რომ ბედოვლათმა „ოპოზიციამ“ ეს ვერ გაიგო.**

სააკაშვილი-მაკკეინის საუბრისას რეგიონის საკითხიც განიხილებოდა და მის გარეთ არსებული ვითარებაც. არც უკრაინის არჩევნები იქნებოდა დავიწყებული. ნარინჯის რევოლუციამ სერიოზული მარცხი განიცადა. ამერიკულ იდეას – პოსტსაბჭოთა სივრცეში ფერადყვავილოვანი რევოლუციების შედეგად რუსეთისათვის პრობლემების შექმნას, წერტილი დაესვა. ნარინჯიანთა მმართველობამ 37-მილიონიანი უკრაინა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ქაოსში შეიყვანა, საიდანაც თავის დაღწევა არც თუ იოლი იქნება. ბოლო მონაცემებით, თითოეულ უკრაინელს უცხოეთის 850 დოლარი ვალი აქვს. უკვე ყოფილი პრეზიდენტის იუშჩენკოს პოლიტიკამ, ძირითადად ავანტიურასა და კონფრონტაციაზე დაფუძნებულმა, უაღრესად დაძაბა ოფიციალური მოსკოვ-კიევის დამოკიდებულება, რამაც ნეგატიური ასახვა ჰპოვა ერთი ფუძიდან აღმოცენებული ორი მოძმე ხალხის ყოფაზე.

**არცთუ შორეულ წარსულში წარმოუდგენელიც იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ რუსეთ-უკრაინა ერთმანეთს იმ პოლიტიკურ ენაზე დაელაპარაკებოდა, რასაც დღეს აქვს ადგილი. სხვისი გაშავება, ამ შემთხვევაში რუსეთის, პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებისათვის, რასაც ყოფილი პრეზიდენტი იუშჩენკო სისტემატურად მიმართავდა, არ გამოდგა საკმარისი რუსეთთან უკრაინელთა სერიოზული დატაკებისათვის. ხალხი მიხვდა ნარინჯოვანთა ბედოვლათობას და ყოველგვარი რევოლუციის გარეშე, საყოველთაო არჩევნებზე, უარი თქვა არა მარტო იუშჩენკოზე, არამედ მის მიერ ხუთი წლის განმავლობაში შექმნილ პოლიტიკაზე. შექმნილი ვითარება გვკარნახობს იმას, თუ რა კურსით გააგრძელებს უკრაინა ცხოვრებას – ურთიერთობა დასავლეთთან და აღმოსავლეთთან, ანუ დასავლეთთან ურთიერთობით არ გამწვავდება რუსეთთან ურთიერთობა. დიდ მეზობელთან კავშირების გარეშე უკრაინას გაუჭირდება. და არა მარტო მას, არამედ დსთ-ს სივრცეში არსებულ ყველა ქვეყანას. გვიჭირს ჩვენც, თუმცა დაბეჯითებით ვარწმუნებთ თავებს და საზოგადოებასაც, რომ რუსეთთან თუნდაც ეკონომიკური კავშირები ჩვენთვის არათუ რაიმეს მომტანია, არამედ დამღუპველია. ისევ ვეძებთ კუდიანებს, ისევ გავყვირით რაღაც მეხუთე კოლონაზე, ისევ ვუშვებთ „იმედის“ ეთერში სპეციალურ გადაცემას, რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების მომხრეთა წინააღმდეგ, ისევ ვამზადებთ საზოგადოებას მათ წინააღმდეგ რეპრესიების განხორციელებისთვის, ისევ ვაპირისპირებთ საზოგადოების ერთ ნაწილს მეორესთან. მხოლოდ უმეცარს შეუძლია დაიჩემოს, რომ მეზობელთან ურთიერთობა გაუსაძლისად ცუდი უნდა გვქონდეს. სამწუხაროდ ე. წ. პოლიტოლოგთა ნაწილს, რომლებმაც ხელისუფლების უკანალის ლოკვით გაითქვა სახელი, მხსნელად მხოლოდ აშშ-ი მიაჩნია. მას ვერ გაუთვითცნობიერებია მარტივი ჭეშმარიტება – ტერიტორიული სიშორე, ისიც, რომ ამერიკის დახმარების ხელის ჩვენამდე მოღწევას ბევრი დრო (შეხედეთ მიწისძვრით განადგურებულ ჰაიტის მაგალითს) და პოლიტიკური სურვილი სჭირდება – სწორედ ის, რაც ბუშის ადმინისტრაციასაც კი არ აღმოაჩნდა ცხინვალის ომის დროს.**

**ვერც ჩვენი სტუმარი მაკკეინი აღმოჩნდა ჩვენთვის სასარგებლო მოწოდების სიმაღლეზე – მარტო განცხადებამ, რომ ისიც ქართველია, დიდი ვერაფერი შვება მოგვიტანა. ე. წ. პოლიტოლოგთა გასაგონად მინდა ვთქვა – საქართველოს გულისათვის ამერიკა რუსეთს არ დაეტაკება და თუ ეს მოხდა, ერთბაშად მოიხსნება დედამიწაზე არსებული ყველა პრობლემა, რამეთუ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება ადამიანის არსებობა, საერთოდ დედამიწის არსებობა, ეს იცის ვაშინგტონმა. ეს არ იცის უაზროდ გალიზიანებულმა ქართული საზოგადოების ნაწილმა, რომელიც წარმატებას უკრაინის არჩევნებში 2000-ზე მეტი ე. წ. დამკვირვებლის გაგზავნაში ხედავს. გალატაკებულმა საქართველომ სხვა ქვეყნებიდან გაგზავნილი საერთო რაოდენობის ტოლი დამკვირვებელი მიავლინა, რაც მასპინძელი უკრაინის პოლიტიკოსებმა უკრაინის საშინაო ცხოვრებაში უხეშ ჩარევად აღიქვა. ახალი წლის ავანტიურით (უკრაინელთა შეფასებით) დაწყება არცთუ დამშვიდებული მომავლის მომასწავებელია. წინ მთელი წელია და ვინ იცის რამდენ ასეთს ექნება ადგილი.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

ვინ არის მომხრე?

# პრაიმერი 30 მარტს შედგება

**პრაიმერის ინიციატორი ოპოზიციური პარტიები პოლიტიკურ ორგანიზაცია „სამეფო გვირგვინის“ წარმომადგენლებს შეხვდნენ.**

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და თბილისის მეროზის კანდიდატთა სია; ჩატარდება თუ არა პრაიმერი და ვინ უნდა გახდეს ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი, რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ერთ პოზიციაზე შეჯერება ვერ მოხერხდა. ეს და სხვა აქტუალური საკითხები გახდა განხილვის საგანი ამ შეხვედრის დროს, რომელიც 16 იანვარს შედგა საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს, მონარქისტული მოძრაობა „სამეფო გვირგვინის“ ოფისში.

„სამეფო გვირგვინის“ მეურვემ ია ბაგრატიონ-მუხრანელმა, მოძრაობა “სამართლიანი საქართველოსთვის“ ხელმძღვანელმა ზურაბ ნოღაიდელმა, საქართველოს კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა, ხალხის პარტიის წარმომადგენელმა ალექსანდრე შალამბერიძემ და სხვა სტუმრებმა და მასპინძლებმა განიხილეს ქვეყნისა და ხალხის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობაზე, რაც შესაძლებელი გახდება სამართლიანი არჩევნების ჩატარებით.

ამ შეხვედრის დამთავრების შემდეგ ია ბაგრატიონ-მუხრანელმა თქვა:

– თავადაზნაურთა საკრებულოს წიაღში შექმნილი მონარქისტული მოძრაობა „სამეფო გვირგვინი“ ალბათ დათანხმდება პრაიმერში მონაწილეობას. მაგრამ საბოლოოდ ეს გადაწყდება მონარქისტული მოძრაობის ყრილობაზე, რომელიც ამ თვის ბოლოს გაიმართება. ჩვენი დევიზი უცვლელია: „მამული, ენა, სარწმუნოება, მეფე!“. ვინც ამ იდეას გაიზიარებს – ჩვენც მათთან ვართ!

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერმა ზურაბ ნოღაიდელმა თქვა:

– ჩვენ ვაგრძელებთ კონსულტაციებს. ამ შემთხვევაში პოლიტიკური მოძრაობა „სამეფო გვირგვინის“ ხელმძღვანელობას შევხვდით. მათ მალე ექნებათ ყრილობა და იქ მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას არჩევნებში და პრაიმერში მონაწილეობის შესახებ. შევთანხმდით იმაში, რომ საქართველოს გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ სამართლიანი არჩევნების შედეგადაც. და ამას ემსახურება პრაიმერების ჩატარება, რომელიც გააერთიანებს ჩვენს ძალებს და მიგვიყვანს საბოლოო წარმატებასთან... ჩვენ გვაქვს საზოგადოების მხრდაჭერის დიდი იმედი. ხელისუფლებაში კარგად უნდა ესმოდეთ, რომ არჩევნებს არავის არ გავაყალბებინებთ. მჯერა, რომ 2010 წელი საქართველოს გამარჯვების წელი იქნება...



კონსერვატორთა ერთ-ერთმა ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა ჟურნალისტებს განუცხადა:

– საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს, მონარქისტული მოძრაობა „სამეფო გვირგვინს“ ჩამოყალიბებული აქვს ფართო ქსელი რეგიონებში და მათი მხარდაჭერა ჩვენი პროექტის მიმართ ფრიად მნიშვნელოვანია არა მარტო თბილისში, არამედ მთელს ქვეყანაში. ისინი ახლა ყრილობის ჩასატარებლად ემზადებიან და იქ მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას... წინასწარი განწყობა პოზიტიურია და ზოგადი მიდგომა ოპოზიციური ერთიანობის მიმართ ერთმნიშვნელოვნად დადებითი...

ეს აზრი გააგრძელა ხალხის პარტიის წარმომადგენელმა ალექსანდრე შალამბერიძემაც, რომელმაც თქვა: ჩვენ გვინდა, რომ ერთიანობა შედგეს. თუ შევთანხმდებით ოპოზიციური პარტიები ხომ კარგი, სადაც ეს ვერ მოხერხდება – იქ პრაიმერმა გადაწყვიტოს კანდიდატურების ბედი...

პრაიმერის ჩატარების დღედ 2010 წლის 30 მარტი დადგინდა.

**მურად ალაშვილი.**
ავტორის ფოტო

კერძო აზრი



***შარშან, 19 დეკემბერს, ქუთაისში „დიდების მემორიალის“ დემონტაჟი განხორციელდა. აფეთქება მოსალოდნელზე მასშტაბური აღმოჩნდა — როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით: გარდა იმ უდავოდ სამწუხარო ფაქტისა, რომ მემორიალის დემონტაჟს ქუთაისში ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, აფეთქების ექომ არა მარტო თბილისში, მოსკოვშიც ჩააღწია და აღშფოთების ტალღა გამოიწვია. ორივე დედაქალაქში, ოღონდ თბილისის შემთხვევაში — ოპოზიციის, მოსკოვში კი ხელისუფლების მხრიდან მას ერთნაირი — „ბარბაროსობის“ შეფასება მიეცა, მაგრამ ქართული ოპოზიციის ლიდერებისგან განსხვავებით, კრემლის დე ფაქტო ლიდერი ვლადიმერ პუტინი მხოლოდ კრიტიკით არ შემოიფარგლა, „დიდების მემორიალის“ მოსკოვში — „პოკლონნაია გორაზე“ აღდგენა გადაწყვიტა, თანაც — ქართველისვე ხელით და ამისათვის ზურაბ წერეთელი მოიხმო, რომლის ქმნილებები, მოსკოველების მუდმივი კრიტიკის მიუხედავად, რუსეთის დედაქალაქს ისედაც უხვად ამშვენებს.***

***რუსეთ-საქართველოს ბოლოდროინდელი ურთიერთობების, პუტინის მთელი ბიოგრაფიის საბჭოურობისა და საქართველოსადმი მისი პირადი დამოკიდებულების გათვალისწინებით, ის, თუ როგორ „დასწყვიტა გული“ ქუთაისში მემორიალის აფეთქებამ კრემლის მესვეურთ, გასაკვირი, ალბათ, არ უნდა იყოს. ჩვენთვის, ყოველ შემთხვევაში, უფრო საინტერესო ისაა, რატომ გამოიწვია ამ ფაქტმა ანალოგიური რეაქცია საზოგადოებისთვის არაერთხელ დეკლარირებული პროდასავლური კურსის მატარებელ ქართულ ოპოზიციაში და რას უკავშირდება ის ფაქტი, რომ ხალხი, რომელიც ქართული ეროვნული ინტერესების დაცვაზე დებს თავს, ე.წ. საბჭოთა პატრიოტიზმის და სტალინიზმის იდეოლოგიის მატარებელი ძეგლის დამცველთა რიგებში აღმოჩნდა. განსაკუთრებით საინტერესო იყო ამ რიგებში სალომე ზურაბიშვილის გამოჩენა, რომელიც საქართველოში ჩამოსვლის პირველივე დღიდან გაუთავებლად უკიჟინებდა საკუთარ ოპონენტებს, რომ მას, როგორც ქართველ ემიგრანტთა შთამომავალს, „უფრო მეტი უფლება აქვს აქ ყოფნის, ვიდრე სხვებს“. მემორიალის აფეთქების გადაწყვეტილების მართებულობაზე, ასევე იმ რეაქციებზე და მათ მიზეზებზე, რომელიც ამას თბილისსა და მოსკოვში მოჰყვა, „პირველი“ ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატს, რუსეთში მცხოვრებ ქართველ სოციოლოგს ბადრი ქუთელიას ესაუბრა.***

# „დაძალებული სიყვარული“,

## ანუ რა აფეთქდა ქუთაისში?

„ქუთაისის მემორიალზე უკვე ბევრი ითქვა და აღარავისთვის აღარაა საეჭვო, რომ მცირე ინფორმაციული მიზეზიდან დიდ ინფორმაციულ საბაბად იგი პოლიტიკური სპეკულაციებისა და ინსინუაციების გამო იქცა, თუმცა, ვფიქრობ, არცთუ ისეთ ხანგრძლივ საბაბად. სიმოკლე კი ქართული ანდაზით იხსნება, რომელიც, როგორც ჩანს, ხშირად ავიწყდება ხოლმე მეზობელი უზარმაზარი ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს. უკვე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველო აღარ აღიქმება უმწეო ქვეყნად, რომელსაც შარი ადვილად შეგიძლია მოსდო, თუკი მისი შეჭმა გსურს. ეს კარგად არის ცნობილი აგრესიული და მცირე ჩვილთა ყლაპვას შეჩვეული მურა დათვისთვისაც, მაგრამ ჩვეულება თავისას შვრება და ზოგჯერ უკმაყოფილების ნერვიულ წამოძახილად გამოვლინდება ხოლმე. კრიმინალური და „მენტური“ მენტალიტეტისათვის დამახასიათებელია ცრუ არგუმენტის, როგორც უკანასკნელი იმედის მოშველიება, როცა ყველასათვის აშკარა ხდება, რომ აკელას ნახტომი გაუცუდდა, ან ტოტიას ძველი მარიფათი აღარ მოსდევს. სწორედ ამასთან გვაქვს საქმე „ქუთაისის კომპლექსის“ დანგრევის გამო გამოწვეულ მედია“, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აქტივობასთან.

მედია-აქტივობასთან დაკავშირებით შეგვიძლია, ვთქვათ, რომ არათუ საქართველოში (შეიძლება, საქართველოში უფრო მეტადაც კიძ, არამედ რუსეთშიც კი „კომპლექსს“ ხანგრძლივად ყურადღება არ მიუპყრია. სხვათა შორის, იმ მიზეზების გამოც, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ. რუსეთში ძალიან მალე განსჯა იმის შესახებ, რომ წინაპართა ხსოვნას პატივი უნდა ვცეთ (რაც მართალიაძ, გადავიდა მსჯელობაზე იმის შესახებ, რომ ეს იმ ქვეყნისა და ქალაქის საქმეა, სადაც კომპლექსი მდებარეობდა. თუმცა თან უმატებდნენ, რომ სააკაშვილი მემორიალის გარეშე არ დატოვებს საბჭოთა ჯარისკაცის ხსოვნას, რომელმაც საბჭოთა რუსეთი ფაშიზმისაგან იხსნა.

ასეთი განცხადებები საკითხის აბსოლუტური არცოდნის ნიშანია. პირველი — იმიტომ, რომ ეს არ არის მხოლოდ ქვეყნის პრეზიდენტის პრეროგატივა; მეორე — იმიტომ, რომ საქართველოში ძალიან ბევრი ქალაქის ცენტრში დგას ფაშიზმთან მებრძოლთა და უცნობი ჯარისკაცის ხსოვნის ძეგლები; და მესამე — იმიტომ, რომ ქართველისათვის საბჭოთა ჯარისკაცი ყოველთვის იგივე არ არის, რაც სამშობლოს თავისუფლებას სიცოცხლეშეწირული გმირი. რადგან ვიხმარეთ სიტყვა „ყოველთვის“, საჭიროა მისი განმარტებაც. ფაშიზმთან ქართველ მეომართა უდიდესი ნაწილი იბრძოდა და დაიღუპა ყირიმში და კავკასიის მისადგომებთან. თუ არ ვცდები, სკოლის პროგრამული ლექსი იყო ირაკლი აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე“ — „მე, ქართველი ბუხაიძე ბალყარეთის მთებში ვწევარ, რომ შემეძლოს საფლავიდან, ძმებო, მხრების წამოწევა, მე სიცოცხლეს ხელმეორედ შევწირავდი იმავ მხარეს, შევწირავდი იმავ მიწას, დღეს რომ გულზე დამაყარეს“. ბალყარეთს შემდეგ სვანეთი იწყება და გასაგებია, რასაც იცავდა კაპიტანი ბუხაიძე. მაგრამ ამავე ლექსში, ცოტა ქვევით უფრო საინტერესო სიტყვებია: „მოვკვდეთ, მაგრამ მკერდით შევკრათ დერბენტი და დარიალი“. აქ უკვე ვეღარ ვიტყვით, რომ ჩვენი კაპიტანი მხოლოდ საბჭოთა ჯარისკაცია, ანდა მხოლოდ იმ დროის. აი, ამისთანა თავშეწირულთა ხსოვნის ძეგლი თბილისშიც არის, მეტად თვალსაჩინო და საპატიო ადგილას. თბილისის უცნობი ჯარისკაცის მემორიალი საბჭოურის გარდა, სხვა, უფრო განზოგადოებული მნიშვნელობის მატარებელიცაა. ამ მნიშვნელობის ჩადება თავის დროზე აუცილებელი იყო, რათა უცნობი ჯარისკაცის ნეშტის გადმოსვენებას მხოლოდ საბჭოთა არგუმენტაცია არ ჰქონოდა. მას აუცილებლად უნდა ჰქონოდა არა მხოლოდ ანტიფაშისტური ან სამშობლოს დამცველის, არამედ უფრო ზოგადი მოქალაქეობის საწინააღმდეგო და სამართლებრივი აზრი.

ქუთაისის კომპლექსში არაფერი მსგავსი არ იყო ჩადებული. პუტინის მიერ საბჭოთა ჯარისკაცის ქუთაისური მემორიალის მოსკოვში დადგმის განცხადების შემდეგ მედიის ყურადღება ძლიერ გაიზარდა. პრესა და რადიო ცდილობდა პროცესში მკითხველთა და მსმენელთა ჩართვას და, რა საკვირველია, ამას ახერხებდა, მაგრამ აქტიურ აუდიტორიაში თითქმის არ მოიძებნებოდა ქართველი, ხოლო არაქართველთა მსჯელობებში იმპერიული ნოსტალგია გამოსჭვივოდა. აჟიოტაჟი მალე ჩაცხრა და საუბრებიც უფრო აწონილი გახდა. თურმე, ბევრი რუსი ისევე აღიქვამს მემორიალის პოლიტიზირებას, როგორც ქართველები — რომ სირცხვილია დაღუპულ გმირთა ხსოვნით სპეკულირება.

მაგრამ მემორიალის მოსკოვში დადგმას ქართველი პატრონებიც გამოუჩნდნენ. თურმე, ნოღაიდელს არაფერი ესაჭიროება ჩვენგან (ამომრჩევლებისაგანძ იმისათვის, რომ პრეზიდენტი გახდეს — ეს მან მოსკოვში ქართულ დიასპორასთან შეხვედრაზე განაცხადა („მე თქვენგან არაფერი მინდა“ძ. ლუჟკოვს, გრიზლოვს და პუტინსაც შეუთანხმდა, რომ ამისათვის კარგი ადგილია „პოკლონნაია გორა“ (თაყვანისცემის გორაძ მოსკოვში. ქართველებს ამას არ დაჰკითხვია, მაგრამ თუ არ დააძალე, ისე თავს როგორ შეაყვარებ?! ეს პოლიტიკას ჰგავს და რუსულ მოდელშიც კარგად ჯდება — მზრუნველი მამის ხელის მოყვარულ და ამ ხელის ზრუნვას მონატრებულ ქართველ ხალხს გამოუჩნდა პატრონიო. მაგრამ ეს უფრო პოლიტიკანობას და არა პოლიტიკას ჰგავს, ვინაიდან პუტინისთვისაც, ლუჟკოვისა და გრიზლოვისთვისაც დღეს უკვე აშკარაა, რომ ეს ფუჭი თამაშია. იციან — გავიდა დრო, როცა ქართველისათვის თითის ყოველ დაქნევაზე ან ხმის გაჟღარუნებაზე ეს დაქადნება-ჟღარუნი ქართული მღელვარების ცენტრად იქცეოდა ხოლმე. საქართველოს თავისი გასაკეთებელი აქვს და მისი გზიდან გადაცდენა ვითომ აქტუალური სატყუარებით დღეს თითქმის შეუძლებელია.

პუტინის „ქართველებისადმი სიყვარულის“ გამოხატვას ქართველ საბჭოთა ჯარისკაცის ძეგლზე ზრუნვით არა მხოლოდ პოლიტიკანობაში, არამედ საზოგადოებრიობანას თამაშშიც აღმოაჩნდა მონაწილეები. სხვაგან არ ვიცით, ვინ და რამდენი, მაგრამ მოსკოვში ასეთი, პირველ რიგში, ხომერიკი იყო. მისთვის ეს კარგი საბაბი იყო, თავი გამოეჩინა, მაგრამ იცოდა კი მან ამ ძეგლის შესახებ რაიმე, ვიდრე ეს ქართული მხარიდან არ გაიგო?! ან იქნებ, სულაც პუტინის განცხადების შემდეგ გაიგო? უფრო მნიშვნელოვანია მეორე ქართველი, რომელმაც ასევე მხარი აუბა პუტინის ინიციატივას. მიხეილ ხუბუტიამ, რომელსაც თავის დამატებით გამოსაჩენად ასეთი პიარი სულაც არ სჭირდება, დაიწყო იმით, რომ წინაპრების ხსოვნა ხელშეუხებელია, მით უფრო — თუ ეს წინაპრები სამშობლოსათვის თავდადებული გმირები იყვნენ. ამ ზოგადი ღირებულებებით ბევრი ოპერირებდა ძეგლთან მიმართებაში, მაგრამ იყო კი ეს ძეგლი ასეთი? საუბარია ჩვენი, ახლანდელი თაობის ბაბუებისა და ბებიების შესახებ, საქართველოში კი არათუ დედ-მამას, არამედ ბებია-ბაბუასაც არავინ აღიქვამს წინაპრად — ეს მოსკოვურ თინეიჯერულ მენტალიტეტშია ასე. სამშობლოს გმირებისა და ფაშიზმთან მებრძოლთა შესახებ ზემოთ ვთქვით, მაგრამ იგივე კითხვა გვინდა, დავსვათ: რა იცოდა ბატონმა მიხეილმა ამ ძეგლზე იქამდე, ვიდრე მიღებულ იქნებოდა სამეურნეო გადაწყვეტილება გამოუყენებელი მონუმენტის აღების შესახებ? ხუბუტია მოსკოვურ ბიზნეს-ისტებლიშმენტში გამოკვეთილი პიროვნებაა და ვინაიდან მოსკოვური და რუსული ბიზნესი და წარმატებული საქმიანობა ხელისუფლების (თუ ძალაუფლებისძ ვერტიკალის მიმართ მკვეთრად გამოხატული ლოიალობის გარეშე შეუძლებელია, მისი რეაგირებაც ახსნადია. მაგრამ ყველა უბრალოდ ქართველი, რუსეთუმე ქართველი თუ რუსი ლიბერალი, ვინც ასე იქცევა, თავის პოზიციას ხსოვნის ზოგადი ღირებულების შესახებ გამონათქვამებით ამაგრებს. დავუმატოთ, რომ როგორც ლუჟკოვ-პუტინ-გრიზლოვისათვის და მედვედე-



ვისთვისაც, ისევე ზოგი ქართველი მოტირალისთვისაც აშკარაა ამ თამაშის სიფუყე.

მაგრამ საბჭოური ნოსტალგიის ინერცია და იხტიბარის არგატეხვის სურვილი აუცილებელს ხდის თამაშს. ეს ფუჭი თამაშია, ანუ არ ემსახურება თამაშში გაცხადებულ მიზანს არა მხოლოდ პიარზე დახარბებული ხომერიკისათვის, რენომეზე მზრუნავი ხუბუტიასთვის, არამედ საქართველოსთვის ცრემლმდინარე ნოღაიდელის, გაჩეჩილაძეებისა და, წარმოიდგინეთ, პრეზიდენტობის მსურველი ებრალიძისთვისაც, რომელსაც, თუ არ ვცდები, მემორიალზე არაფერი უთქვამს. იკითხავთ, რომ დადგან, მაშინ ვინღა თქვას ჩვენი ეს სათქმელი და ვინ სადღა იყოს? დადგან მერე! თუ ქართველებს ლუჟკოვი თანხებს გამოუყოფს ამ საქმისათვის, ან საშუალებას მისცემს იმდენი გამოიმუშაონ, რომ ესეც დააფინანსოს, ალბათ, დადგამენ.

წარმოიდგინეთ, საბჭოთა ნოსტალგიით შეწუხებული ყოფილი საბჭოთა ერის რამდენი შვილი დარჩება გულნაკლული — რუსი ერის შვილების ჩათვლით, რატომ ქართველებს და ჩვენ არაო?! წერეთლის დიდი პეტრეს უზარმაზარ (როგორც რუსეთიძ ძეგლსაც კიდევ ერთხელ გაიხსენებენ, თუ მოიხსენიებენ... აი, ორიოდე დღის წინათ კი ცნობილი ხდება, რომ თაყვანისცემის გორაზე (მადლობა ღმერთს, იქ არც მიწას სცემს არავინ თავს და არც მიწას იყრიან თავზე, როგორც ეს ტოტალიტარულ სახელმწიფოებშია მიღებულიძ რუსის ჯარისკაცის ხსოვნისადმი მიძღვნილი მარადიული ცეცხლი უნდა გადაიტანონ. ასე, რომ, ქართველებმა და რუსებმა რომ გერმანია თურმე ერთად დავამარცხეთ, ყველასათვის ნათელი გახდება, მათ შორის — ამერიკელების, ფრანგების, ინგლისელებისა და ყველა სხვა ერისთვისაც. დასაშვებია მეორე ვარიანტიც — მოსკოვის ალექსანდრეს ბაღის ეს თვალსაჩინო ადგილი შეიძლება, უფრო ღირსეული და თანამედროვე გმირისათვის (გმირებისთვისძ მზადდება. ჩვენ ხომ არ ვიცით!

ვიდრე გადავიდოდეთ პოლიტიკურ მესიჯებზე, რომლებიც ბოლო დროს ბლომად იყო ქართველებისათვის გამოგზავნილი (ვაი, რომ კითხვა არ ვიცით!ძ, შევეხოთ თვით ძეგლის მნიშვნელობას. საქართველოსა და ქუთაისში გაცილებით მეტი თქმა შეუძლიათ მასზე, ვიდრე პოსტსაბჭოური ემიგრაციის ქართველებს, მაგრამ მე მაინც ჩემსას გავიხსენებ. ხშირად მიხდებოდა ქუთაისის ტრასაზე მანქანით გავლა და შეუმჩნეველი არ დამრჩენია ბეტონის ხორა, რომელიც ქალაქის განაპირას ცარიელ მინდორზე იდგა (ეს მინდორი, მე მგონია, არ ყოფილა ქუთაისელთა თაყვანისცემის გამოხატვის ადგილიძ. გაუთავებლად ვკითხულობდი, რა არის ეს, წარსულის რომელ გმირებს ეძღვნება-მეთქი. პასუხი ვერ მივიღე, ალბათ, ქუთაისის რაიკომში ან ალმასკომში თუ ეცოდინებოდათ, შემდეგ ძეგლს ფილებიც (ალბათ, არ მახსოვსძ დაემატა და ჭედური ნაკეთობებიც. არ დავიზარე და ერთ-ერთი ჩავლის დროს ძეგლისაკენ შევუხვიე, რათა ახლოდან მენახა ეს მშვენიერი ნაკეთობები. კვლავ ბევრჯერ ვიკითხე, რა არის ეს, რისთვის ააშენეს-მეთქი. ალბათ, მშენებლებისათვის უნდა მეკითხა, მაგრამ სად ვნახავდი მათ და ეცოდინებოდათ კი, რა ააშენეს? თუ კარგად მახსოვს, ისევ ერთი სოციოლოგიური გამოკითხვის დროს, რომელსაც, რა თქმა უნდა, ქალაქკომის დახმარებით ვატარებდით, აგვიხსნეს, ქუთაისში ისტორიული ადგილი არ არის, სადაც საბჭოთა ახალგაზრდობა ხელის მოწერის შემდეგ მივაო, და ახლა გვექნებაო. ალბათ, მიდიოდნენ კიდეც, ფორმალობის გულისათვის. ადგილი კი მოუხერხებელი იყო. თუ რა გადახდა თავს ამ ძეგლს საბჭოურ-ნომენკლატურულ-რევანშისტული წკვარამის დროს, ამაზეც უკვე ითქვა, თუ არ ვცდები.

**ლევან ჭითანავა**

სულიერება

# პატრიარქი ნათლულებს შეხვდა

**19 იანვარს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაული აღნიშნა.** ეს დღესასწაული თორმეტ საუფლო დღესასწაულთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. ამასთან დაკავშირებით ყველა მოქმედ ტაძარში წირვა აღევლინა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ წმინდა სინოდის წევრებთან და სამღვდელოებასთან ერთად სადღესასწაულო ლიტურგია სამების საკათედრო ტაძარში აღავლინა. წირვის დასრულების შემდეგ კი პატრიარქმა სამების ეზოში წყალი აკურთხა. ნაკურთხ წყალს უფლის მიერ კურთხეული მდინარე იორდანეს მადლი ენიჭება და უხრწნელ თვისებებს იძენს.





აიაზმის ცერემონიალის დასრულების შემდეგ უწმინდესი და უნეტარესი ილია II სპორტის სასახლეში თავის ნათლულებსა და მათ მშობლებს შეხვდა. უწმინდესს 4300-მდე ნათლული ჰყავს, მათ დღესასწაული მიულოცა და დალოცა. პატრიარქის ნათლულები ჯვარდაწერილი ოჯახების მესამე და მომდევნო შვილები არიან. უწმინდესმა ჩვილთა ნათლობის ტრადიციას 2008 წლის ნათლისღების დღესასწაულზე ჩაუყარა საფუძველი.

ღამის 12 საათზე ტრადიციულად შეხვდნენ ბათუმელები ნათლისღებას. ათწლიანი ტრადიციის თანახმად, ზღვის სანაპიროზე მორწმუნეები შეიკრიბნენ და 12 საათის შესრულების შემდეგ, ზღვაში შევიდნენ. ასეთი წესით ისინი ნათლისღებას სიმბოლურად გამოხატავენ. ბათუმისა და ლაზეთის ეპისკოპოსმა საზეიმო წირვა ზღვის სანაპიროზე აღავლინა, რის შემდეგაც წყალში პირველი თავად შევიდა და ზღვაც აკურთხა. 2010 წელს ნათლისღების დღესასწაულზე ბათუმი მრევლის სიუხვით გამოირჩეოდა, ზღვის სანაპიროზე უამრავი ხალხი იყო შეკრებილი.

**ხატია მუსერიძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო**

კვირეული

# მალე მამაკაცების სკრინინგის პროგრამაც ამოქმედდება

**საშვილოსნოს ყელისა და მკერდის კიბოს პრევენციისთვის, საქართველოს პირველი ლედის თაოსნობით, სპეციალური პროგრამა ხორციელდება.**

40 წელზე ზემოთ ქალბატონებისთვის გამოკვლევები უფასოა და საერთაშორისო სტანდარტითა და უახლესი აპარატურით ტარდება. საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის კვირეული პარლამენტში გაიხსნა. სანდრა რულოვსმა ხაზი გაუსვა კვირეულის მიზანს – საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციული მეთოდების პოპულარიზაციას. კვირეულს ეროვნული სკრინინგ-ცენტრი ატარებს სანდრა რულოვსის პატრონატითა და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. კვირეულის განმავლობაში გაიმართება სემინარები ჟურნალისტებისთვის, სიმპოზიუმები ექიმებისთვის, საჯარო ლექციები, საინფორმაციო მასალის გავრცელება უმაღლეს სასწავლებლებსა და სხვადასხვა დაწესებულებაში.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საშვილოსნოს პათოლოგიის ადრეული აღმოჩენისა და მკურნალობის შედეგად კიბოს თავიდან აცილება 75-100 პროცენტით შესაძლებელია.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გიგი წერეთელმა განმარტა, რომ საქართველოში დაიწყო პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, რომელიც ხელმისაწვდომია თითოეული მოქალაქისთვის, ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ოთარ თოიძის ინფორმაციით კი, მალე საქართველოში მამაკაცების სკრინინგის პროგრამაც დაიწყება.

**ნატა ნიბლაძე**

**სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ სააუქციონო კომისია აცხადებს საჯარო აუქციონს ბანკის საკუთრებაში არსებულ აფრიკულ სირაქლემებზე, იტალიური წარმოების სირაქლემების გამოსაზრდელ-გადასატან ბრუდერებზე და იტალიური წარმოების სირაქლემების კვერცხის სპეციალიზირებულ ინკუბატორებზე თავისი დეპუმიდიფერით.**

**აუქციონი გაიმართება 2010 წლის 29 იანვარს 15 საათზე, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №79-ში.**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 899-511-382.**

სააუქციონო კომისია

გლობალიზაცია და ჩვენი განათლების მომავალი

# როგორ უნდა ჩატარდეს რეალური რეფორმა?..

***დღეს მთელს მსოფლიოში მიმდინარეობს კულტურულ ღირებულებათა გადაფასების პროცესი, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ ვიმკით საბჭოთა კავშირის ნგრევის შედეგებს, ყველაფერი ეს განსაკუთრებით მძიმედ განიცდება. საოცარი დაუნდობლობით ნადგურდება ყოველივე ძველი და ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ბარბაროსები შემოგვესივნენ. მორალი, სინდისი და სულიერება შეცვალა ერთმა სურვილმა: ნებისმიერი გზით მოვიხვეჭოთ და დავაგროვოთ რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე. საზოგადოებას, რომელიც აღარაფერს ქმნის და აღარაფერს აწარმოებს, ეკარგება კულტურა და ეუფლება უზნეობა. უნიჭოდ ვბაძავთ ყველაფერში დასავლეთს და ეს კარიკატურული „მოდერნიზაცია“, რომელმაც სირცხვილის გრძნობა დაგვაკარგვინა და ნამუსზე ხელი აგვაღებინა, კაცმა არ იცის, რით დამთავრდება და სადამდე მიგვიყვანს.***

ჯერ იყო და გვეგონა, რომ საკმარისი იყო მიგვეღო ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობები, გვეღიარებინა ამერიკა ყოფითი ცხოვრების იდეალად და სხვა აღარაფერი იქნებოდა უკვე საჭირო, ყველაფერი თავისით დალაგდებოდა, მოწესრიგდებოდა და პრობლემები აღარ იარსებებდა. სრულიად ვერ შევნიშნეთ ამ დროს ის, რომ დასავლეთმა დიდი ხანია, უარი თქვა ამ გზაზე და დაიწყო თავისი ეკონომიკის სახელმწიფოებრივი ფაქტორებით რეგულირება; ეს კი მათ ჩვენგან – სოციალისტური სისტემებისგან ისწავლეს. იგივე მოხდა განათლების სისტემაშიც; აქაც ეგონათ, რომ თუ განათლების პროცესს გადაიყვანდნენ ბაკალავრ-მაგისტრის სისტემაზე, რეფორმა ამ სფეროში თავისით წარიმართებოდა და არ იქნებოდა საჭირო სასწავლო პროცესის ძველიდან ახალზე გადასვლის სპეციალური მექანიზმების შემუშავება, და, რაც მთავარია, ჩვენი ქვეყნის სპეციფიკის დანახვა და გათვალისწინება. ამას კი რაც მოჰყვა, კარგად ვხედავთ!

სახელმწიფომ საერთოდ მოიხსნა აღმზრდელობითი ფუნქცია და კომპიუტერთან დღეღამე მიერთებულ ახალგაზრდას, რომელსაც ვეღარც სკოლა ზრდის უკვე და ვეღარც ოჯახი, ძნელია გააგებინო ის, თუ რისთვის სჭირდება მას განათლება. კომპიუტერული თამაშებით გაბრუებულ მოზარდს, რომელსაც ამავე დროს თავი სავსე აქვს ინტერნეტიდან მოპოვებული უხამსი ინფორმაციით, სრულიად აღარ აინტერესებს ჰუმანიტარული ფასეულობანი. მას არ ესმის კლასიკური ლიტერატურის, მუსიკის, ფერწერის და არქიტექტურის ღირებულება, ანუ არ ესმის ის, რაზეც ყოველთვის დაფუძნებული იყო ტრადიციული განათლების პროცესი.

თაობებს შორის დაიკარგა ღირებულებითი კავშირები და საზოგადოებაში დაირღვა წონასწორობა. კულტურა, რომელიც შედგება აკრძალვებისგან, რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში ცვლის თავის ფასეულობებს, მაგრამ ბევრს ინახავს და სათუთად გადასცემს თაობებს. კაცობრიობამ იცის, რომ შეუძლებელია ცხოვრება ბახის, მოცარტის, შექსპირისა და ძველი არქიტექტურის გარეშე. „მოდერნიზაცია“ კი, რომელიც უარს ამბობს ამგვარ ფასეულობებზე და იძულებითი წესით ანგრევს ჩვენს ცნობიერებას, დამღუპველია საზოგადოებისთვის.

საკითხი ინდივიდუალურისა და ზოგადის მიმართების შესახებ ძალზედ აქტუალურია. ჩნდება კითხვები: ვისი ინტერესები უნდა დადგეს წინ: თავისუფალი ინდივიდის თუ საზოგადოების? ჩვენი ქვეყნის ფასეულობები არის უფრო ღირებული თუ გლობალური? რას უნდა მიენიჭოს პრივილეგია, პიროვნულ თავისუფლებას თუ წესრიგსა და ჰარმონიას? და სხვ. აშკარაა, რომ მიუღებელია როგორც ყოველგვარი ფორმის იძულებითი კოლექტივიზმი, ასევე აღვირახსნილი თავისუფლება. ჩვენი ეპოქის უკიდურესი სირთულე კი სწორედ ისაა, რომ ყოველი კონკრეტული სიტუაცია ჩვენგან სპეციალურ შესწავლას და გადაწყვეტილების მისაღებად ანალიზს მოითხოვს.

აქედან გამომდინარე, ცივილიზაციის გარდატეხის ამ ურთულეს პერიოდში ადამიანს განსაკუთრებით სჭირდება მეცნიერულ-მსოფლმხედველობრივი აზროვნების კულტურა, სადაც გაერთიანებულია რეალობასთან ადამიანის მიმართების ორი ფორმა: შემეცნებითი და შეფასებითი. ეს პიროვნებას საშუალებას აძლევს, მობილიზება გაუკეთოს მთელ თავის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, გამოიჩინოს ინიციატივა, მოახდინოს თავისი თავის მაქსიმალური რეალიზაცია და იცხოვროს შემოქმედებითად; ანუ შეძლოს, სიტუაციის შესაბამისი არჩევანი გააკეთოს და კულტურულ ღირებულებათა ისეთი გამოვლენა მოახდინოს, რომლისთვისაც უცხო არ იქნება არც რევოლუციური გარდაქმნა-განვითარება და არც ტრადიციული კულტურის შენახვა და დაფასება.

ასეთ ვითარებაში განათლების მთავარი მიზანია, ახალგაზრდას ასწავლოს პასუხისმგებლობა და ის, რომ იცხოვროს თავის დროსთან ერთად. უნდა იცოდეს, რომ ყოველი სიტუაცია მოსთხოვს მას საკუთარ პოზიციას და მოქმედების საკუთარ კულტურას.

და კიდევ: სერიოზული ფილოსოფიური განათლების გარეშე ვერავითარი რეალური რეფორმა განათლების სისტემაში ვერ ჩატარდება. მეცნიერება არ არის მხოლოდ ცოდნა, მეცნიერება რთული ადამიანური მოღვაწეობის შედეგია და მასაც ისევე ახასიათებს მსოფლმხედველობრივი, სოციალური და ეთიკური პარამეტრები, როგორც ყოველგვარ ადამიანურ მოღვაწეობას. მართალია, ადამიანი თავისუფალია იფიქროს ისე, როგორც მოესურვება, მაგრამ არავინ არ არის თავისუფალი თავის მოქმედებაში.



ამიტომაც, ცხადია, რომ მხოლოდ რაციონალური მსოფლმხედველობა მიეხმარება პიროვნებას, შეძლოს ორიენტირება კულტურულ ღირებულებათა სივრცეში, სადაც თითოეულმა დიდი პასუხისმგებლობით უნდა გააკეთოს თავისი არჩევანი ძველსა და ახალს შორის. ინდივიდუალური თავისუფლების ბაზაზე მუდმივად იცვლება და ვითარდება საზოგადოება; კულტურის სივრცეში პერიოდულად ქრებიან ძველი და იბადებიან ახალი ფასეულობები, მაგრამ ამავე დროს ადგილი აქვს შენახვის მომენტსაც, რაც არანაკლებ ძვირფასია.

ამრიგად, ადამიანი ძირითადში შემფასებელი არსებაა და მისი პიროვნული ძალა ყოველთვის იმით გამოიხატება, თუ როგორ და რა ფორმით გამოიყენებს იგი თავისუფლებას; ანუ როგორ გააკეთებს არჩევანს და როგორ მიიღებს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ სიტუაციაში. ამიტომ ჩვენი ე. წ. „რეფორმატორების“ მხრიდან სასწავლო პროცესში მეცნიერული მსოფლმხედველობის როლის უარყოფა და ამ სფეროში ჩვენი წარსული დიალექტიკური თეორიის კვლევის დიდი ტრადიციების უგულებელყოფა უდიდესი შეცდომაა და სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს; მით უმეტეს მაშინ, როდესაც კემბრიჯის უნივერსიტეტში სპეცკურსი „მარქსის დიალექტიკაზე“ ერთ-ერთ ძირითად კურსად იკითხება.

დაბოლოს: ახალი მოთხოვნების შესაბამისი პედაგოგი, რომელთა ძლიერ დეფიციტს განიცდის დღეს განათლების სისტემა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სწორედ ის პიროვნებაა, ვინც რაციონალურად ხედავს და აფასებს არსებულ რეალობას, ვინც ზუსტად გრძნობს ჩვენი დროის იმპერატივებს და ამიტომ შეუძლია ისე შედეგიანად წარმართოს სასწავლო პროცესი, რომ თავისი პირადი მაგალითის საფუძველზე აღზარდოს მომავალი თაობა. ამ ბოლო დროს ჩვენმა პრეზიდენტმა და განათლების მინისტრმა თითქოს დაიწყეს განათლების სისტემაში დაშვებული უხეში შეცდომების შემჩნევა და აღიარება; იმედია, მათ გამოსწორებაზეც იზრუნებენ. კარგი იქნება, თუ ამავე პროექტში ყურადღებას მიაქცევენ და გაითვალისწინებენ ჩვენს ნათქვამსაც.

**გილდა სიხარულიძე**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# დათვის ლოგიკა

**სენატორმა რიჩარდ ლუგარმა, საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტში მეორე პირმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესთან, წამოაყენა წინადადება, მოხდეს საქართველოს ხელახალი შეიარაღება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ძალებით მისი შანსების გასაზრდელად რუსეთთან ხელმეორე კონფლიქტის შემთხვევაში**

საქართველო კარგი მაგალითია იმისთვის, თუ როგორ იტანჯება პატარა გათიშული სახელმწიფო დიდ და თავდაჯერებულ ქვეყანასთან მეზობლობით. საკუთარი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება ხდება დიდი გაჭირვებით. მრავალი საუკუნის განმავლობაში საქართველო შედიოდა რუსეთის იმპერიაში, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ამჟამადაც კი საქართველო მტრული მოსკოვის ჩრდილში ცხოვრობს.

მაგრამ თბილისს აქვს ის, რაც აქვთ სხვა პატარა გათიშულ სახელმწიფოებსაც: მძაფრი ეროვნული გრძნობები. ეროვნული უმცირესობების, აფხაზებისა და ოსების მდგომარეობა იცვლებოდა სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვაგვარად. მენშევიკებმაც კი, რომლებიც მართავდნენ საქართველოს რუსეთის რევოლუციის შემდეგ ცოტა ხნით და რომლებიც დამარცხდნენ უფრო მკაცრ ბოლშევიკებთან, უარს ამბობდნენ თავიანთ ლიბერალიზმზე, როდესაც საკითხი შეეხებოდა არაქართველი ეროვნების მოქალაქეებს. სავსებით გასაგებია, რომ ბევრ აფხაზსა და სამხრეთ ოსეთელს არ სურთ დაემორჩილონ ოფიციალურ თბილისს.

ამის შედეგი გახდა გაურკვევლობა რეგიონის გეოპოლიტიკაში, მაგრამ ამერიკისთვის ამას თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია. „ცივი ომის“ დროს არავინ გამოთქვამდა ვარაუდს საქართველოს მნიშვნელობის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროებისთვის. 1959 წლის რეზოლუციაში საქართველო ითვლებოდა „დატყვევებულ ერთა“ სიაში, თურქმენეთთან, სომხეთთან, იდელ-ურალთან, კაზაკიასთან და ტიბეტთან ერთად. ვაშინგტონი გამოხატავდა მორიგ თანაგრძნობას მათს გაჭირვებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, მაგრამ აზრადაც არ ჰქონდა მათ გამო ომში ჩაბმულიყო. ასევე უნდა მოვიქცეთ ამჟამადაც საქართველოსთან დაკავშირებით.

რონალდ ასმუსი, გერმან მარშალის სახელობის ფონდიდან ამტკიცებს, რომ 2008 წლის აგვისტოში „ომი მიმდინარეობდა იმისთვის, რომ არ დაეშვათ საქართველო დასავლეთში“, მაგრამ თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ დგება მარტივი შეკითხვა: მერე რა მოხდა? რასაკვირველია, ეს კარგია, რომ საქართველო ისწრაფვის დასავლეთისკენ, მაგრამ არაფერია იმაში კარგი, რომ საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვის გულისთვის ვაშინგტონი რისკზე წავიდეს.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამარჯვება მოიპოვა „ცივ ომში“, არ ჩართულა რეალურ ომებში. ამერიკელი ლიდერები ურიგდებოდნენ იმ სამწუხარო ფაქტს, რომ ვაშინგტონს არ შეუძლია იყოს ყველა ხალხის ეროვნულ პრეტენზიათა გარანტი. გაიხსენეთ, თუნდაც 1956 წლის უნგრეთი. კავკასიაში არაფერია ისეთი, რის გულისთვისაც საჭიროა ახალ ომში ჩართვის რისკზე წასვლა.

ამერიკამ საქართველოზე დაჰკიდა იარლიყი – „სტრატეგიული პარტნიორი“, მაგრამ ზარალი ამისგან იყო გაცილებით მეტი, ვიდრე სარგებელი. ვაშინგტონმა თბილისს გამოუყო მილიარდობით დოლარი, მათ შორის – მთელი მილიარდი 2008 წლის აგვისტოს ომის დამთავრებისთანავე, უხვად იხდის ქართული არმიის სწავლების საფასურს. მადლობის ნიშნად სააკაშვილის მთავრობამ ერაყში გაგზავნა ქართული ჯარები, მალე მათ ავღანეთშიც გაგზავნის. სენატორმა ლუგარმა მაშინ საქართველოს უწოდა „საერთაშორისო უშიშროებისთვის ბრძოლის მეტად აქტიური მონაწილე“, მაგრამ ქართველმა ქვედანაყოფებმა ამერიკას მოუტანეს მეტად შეზღუდული სარგებელი. საქართველოსთვის კი ომის ტვირთი გაცილებით მძიმე აღმოჩნდა, თუმცა თბილისი ამგვარ მისიას განიხილავს, როგორც წვლილს საკუთარი უშიშროებისთვის.

კასპიის აუზის სათბობენერგეტიკულ რესურსებს დიდი ღირებულება აქვთ, მაგრამ ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როდია. უფრო მეტიც, რუსეთი არ აპირებს ხელი შეუშალოს დასავლეთს, განახორციელოს თავისი მიდგომა ნავთობისადმი და ბუნებრივი გაზისადმი. თუ, რასაკვირველია, არ მოხდება დიდი კონფრონტაცია, მაგალითად, თუ ნატო მხარს არ დაუჭერს საქართველოს თავდასხმას აფხაზეთზე ან სამხრეთ ოსეთზე. კიდევ გაისმოდა საზეიმო განცხადებანი იმის შესახებ, რომ თბილისი არის გადასასვლელი პუნქტი შუა აზიაში, „იდეალური ასაფრენი ზოლი რეგიონზე თავდასხმისთვის“, როგორც ამის შესახებ მაიკლ-ხიკარი სესაირმა განაცხადა.

საერთაშორისო სამართლის მხარდასაჭერად, კერძოდ კი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატიზმის წინაალმდეგ გაკეთდა საკმაოდ ბევრი განცხადება. კერძოდ, ივლისში ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა




განაცხადა „ერთიანი“ საქართველოს ადმინისტრაციის მხარდაჭერის შესახებ. მაგრამ 10 წლის წინათ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ნატომ პირველებმა და უპროვოკაციოდ დაიწყეს აგრესიული უკანონო ომი სერბეთისგან კოსოვოს გამოყოფის მიზნით, ორი წლის შემდეგ კი ოფიციალურად აღიარეს კოსოვოს დამოუკიდებლობა, მოახდინეს წინასწარ დარეჟისორებული „მოლაპარაკების“ დადგმა წინასწარ ცნობილი შედეგებით.

ისიც კი, რომ საქართველო აცხადებს პრეტენზიას სანიმუშო დემოკრატიისა და თავისუფალი ქვეყნის სტატუსზე, რამდენადმე გაჭიანურებულია. „ფრიდომ ჰაუსის“ რეიტინგით საქართველო მხოლოდ „ნაწილობრივ თავისუფალია“. აი, რა იყო ნათქვამი შარშანდელ მოხსენებაში, რომელიც ამ სამართალდამცავმა ორგანიზაციამ გამოაქვეყნა:

„საქართველოში ტენდენციები იყო ნეგატიური – პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების დროს შემჩნეული დარღვევების გამო, მათ შორის იყო მრავალი ცნობა მოქალაქეთა იძულების შესახებ ხმის მიცემაზე, აგრეთვე სახელმწიფო-ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შემთხვევები, რამაც წარმატება მოუტანა მმართველ პარტიას – „ნაციონალურ მოძრაობას“ არჩევნებში“.

ერთ-ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა გაფრთხილება: პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკა, როგორც ჩანს, „წინააღმდეგობას არ უწევს ბოროტად გამოყენების ფაქტებს, პირიქით, ხელსაც უწყობს მათ“. ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენიც კი, რომელიც ადმინისტრაციაში ყველაზე მეტად აქებს საქართველოს, აღნიშნავდა თვალშისაცემ ნაკლოვანებებს რეჟიმის საქმიანობაში. მიუხედავად ამისა, ოფიციალური თბილისი ძველებურად ცდილობს ნატოში შესვლას (შესვლის შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო გარანტიები გავრცელდება იმ ტერიტორიაზე, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება რუსეთს).

ვაშინგტონელმა პოლიტიკოსებმა მოიწონეს ეს იდეა, რითაც თავდაყირა დააყენეს ალიანსის თავად არსი: თუ თავდაპირველად მისი შექმნის მიზანი იყო ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების უზრუნველყოფა, ამჟამად ეს გაზრდის ომში შესვლის შანსებს დაშორებულ რეგიონში ბირთვული სახელმწიფოს წინააღმდეგ იმ პრობლემების გამო, რომლებსაც არავითარი სასიცოცხლო მნიშვნელობა არ გააჩნიათ, მით უმეტეს ამერიკის შეერთებული შტატებისთვის.

ნატოს გაფართოების მხურვალე მომხრეები, როგორც ჩანს, ვარაუდობენ, რომ რუსეთი არასოდეს არ გამოიწვევს ალიანსს, მაგრამ პირველი და მეორე მსოფლიო ომებიც დაიწყო სწორედ თავშეკავების მექანიზმზე უარის თქმით.

მართალია, პრეზიდენტი ბარაკ ობამა მთლიანად მხარს უჭერს თბილისს და ხელშეუხებლად დატოვა თავისი წინამორბედის პოლიტიკა, მაგრამ, როგორც ჩანს, ისე თავგამოდებით არ არის მზად გადალახოს ევროპის წინააღმდეგობა და დაბეჯითებით მოითხოვოს საქართველოს შესვლა ნატოში. ადმინისტრაციამ გასაგებად განაცხადა, რომ განზრახული აქვს აქცენტი გააკეთოს არა იარაღის მიყიდვაზე, არამედ არმიის სწავლებაზე, თუმცა პირველი, როგორც ამტკიცებენ, ასევე არ არის გამორიცხული. სენატორი ლუგარი ცდილობს კიდევ უფრო ძლიერ ჩართოს ამ საქმეში ამერიკის შეერთებული შტატები თბილისისთვის იარაღის მიყიდვით. ამას წინათ მან გამოაქვეყნა კარგად ჩამოყალიბებული მოხსენება, რომელშიც წერდა, რომ ნატომ „უნდა მოახდინოს ადაპტაცია სიტუაციასთან, რომლის დროსაც საქართველო რამდენიმე წლის განმავლობაში მოითხოვს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნების კოორდინირებულ დახმარებას უშიშროების უზრუნველყოფის დარგში“.

ამგვარი პოლიტიკა კიდევ უფრო მჭიდროდ დააკავშირებს ვაშინგტონს სახიფათო პროვოკაციების მოყვარულ სააკაშვილის მთავრობასთან. პრინციპულად, გონივრული იქნებოდა მიგვეყიდა იარაღი მცირე სახელმწიფოებისთვის, მაგრამ არ მიგვეცა მათთვის უშიშროების გარანტია. მაშინაც კი, თუ ისინი ვერ შეძლებენ წინააღმდეგობა გაუწიონ ძლიერ პოტენციურ მოწინააღმდეგეს.

სამწუხაროდ, პრეზიდენტი სააკაშვილი დაინტერესებულია არა იმით, რომ დაიცვას თავი, არამედ იმით, რომ თავს დაესხას. ამ თვალსაზრისით იგი მკვეთრად განსხვავდება, მაგალითად, ტაივანის ხელმძღვანელებისგან. ექს-პრეზიდენტი ჩენ შუიბანიც კი, რომელიც დაბეჯითებით ახდენდა ჩინეთის პროვოცირებას სიტყვებითა და საქმეებით, არასოდეს იყო დაინტერესებული, რომ დაეწყო სამხედრო კონფლიქტი. ჩენ შუიბანი იყო გამოცდილი პროვოკატორი, მაგრამ არასოდეს ყოფილა სახედარი. და ბუშის ადმინისტრაცია უარს ამბობდა ტაივანისთვის იარაღის მიყიდვაზე არა იმიტომ, რომ ეშინოდა ომში ჩაბმისა, არამედ მხოლოდ პრინციპის გამო.

სამწუხაროდ, 2008 წლის აგვისტოს მიზეზი იყო სააკაშვილის მოქმედებანი. როგორც უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ისე საერთაშორისო მეთვალყურეები აცხადებდნენ, რომ პირველი სროლები გაისმა საქართველოს მხრიდან. ევროსაბჭოს მიერ მოწყობილმა დამოუკიდებელმა გამოკვლევამ ასევე აჩვენა, რომ საქართველომ პირველმა დაარტყა, რითაც დაარღვია საერთაშორისო უფლებები. და თბილისის განცხადებანი იმის შესახებ, რომ რუსეთმა შემოიყვანა ჯარები სამხრეთ ოსეთში საქართველოზე თავდასხმამდე, საფუძველს მოკლებულია. მოსკოვში საქართველოს ყოფილმა ელჩმა ეროსი კიწმარიშვილმა განაცხადა, რომ „სააკაშვილს სურდა ომი, ილვწოდა ამისთვის მთელი უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში“.

კიწმარიშვილის სიტყვებით, ოფიციალურ თბილისს ჰქონდა ამერიკის დახმარების იმედი ნებისმიერ კონფლიქტში. საქართველოს პოლიტიკას შეიძლება რევიზიონისტულ-შეტევითი უწოდო, რომელიც ნაკარნახევია სურვილით – დაიბრუნოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები.

ის, რომ რუსეთმა უდიდესი სიხარულით გამოიყენა სააკაშვილის უპასუხისმგებლო ქცევა, მეტყველებს იმის შესახებ, თუ რამდენად სახიფათოა თბილისის მხარდაჭერა. იმის მიუხედავად, მიაჩნდა თუ არა სააკაშვილს შესაძლებლად გამარჯვება რუსეთის მონაწილეობის გარეშე ანდა მოკავშირეთა მხარდაჭერის დროს, მან სარისკო ნაბიჯი გადადგა თამაშში, რომელსაც „გეოპოლიტიკა“ ეწოდება და წააგო კიდეც. ამ დროს არ გვაქვს იმის საფუძველი, რომ მივიჩნიოთ – მან გაითვალისწინა გაკვეთილი. პირიქით – მან გააორმაგა ძალისხმევა ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

დეკემბერში მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა განმარტება თავის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით – გაგზავნოს ავღანეთში ჯარები:

„მართალია, საქართველო ჯერ არ არის ნატოში და მართალია, როგორც ვიცით, ალიანსისკენ მიმავალი გზა შეიძლება ხანგრძლივი იყოს, ჩვენ ჩვენი თავი მიგვაჩნია მყარ მოკავშირედ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ტრანსატლანტიკურ გაერთიანებასთან ურთიერთობაში როგორც მიზნებთან დაკავშირებით, ისე იმაში, რაც ღირებულებებს შეეხება.

ჯარების გაგზავნა ავღანეთში შედის სააკაშვილის სტრატეგიული პროგრამის შემადგენლობაში. ალბათ, იარაღის მიწოდებას იგი აღიქვამს, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერას უშიშროების გარანტიის მიღების გზაზე.

ამერიკელებმა უნდა უთანაგრძნონ ქართველ ხალხს, მაგრამ ამერიკა-საქართველოს მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობის პრობლემა არის ის, რომ სააკაშვილს სურს: ამერიკა ემსახურებოდეს მის პიროვნულ ინტერესებს და შეიძლება საქართველოს ინტერესებსაც საკუთარი ინტერესების საზიანოდ. მაგრამ მთავარი პასუხისმგებლობა, რაც ვაშინგტონს აკისრია, არის ამერიკელი მოქალაქეების უშიშროების უზრუნველყოფა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ უნდა მისცეს საქართველოს არავითარი სამხედრო გარანტია.

National Interest

## დედამიწის ზურგზე



**ბარაკ ობამამ თანამდებობის დაკავებიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ დაკარგა სენატზე კონტროლი**

ადრე იქ სენატორებს ჰქონდათ კვალიფიციური უმრავლესობა – 60 ხმა 40 რესპუბლიკელის წინააღმდეგ, რაც მათ საშუალებას აძლევდა გაეყვანათ ნებისმიერი საკანონმდებლო ინიციატივა. ახლა მასაჩუსეტის შტატში აირჩიეს რესპუბლიკელი სკოტ ბრაუნი – მან დაიკავა ვეტერანი პოლიტიკოსის დემოკრატ ედვარდ კენედის ადგილი.

* * *

**ლუგანსკის საავადმყოფოში აფეთქების მსხვერპლთა რიცხვმა 16 მიაღწია**

ორშაბათს ქალაქის № მე-7 საავადმყოფოში აფეთქდა ჟანგბადის ბალონი. აფეთქების ადგილზე იმყოფებოდა 22 კაცი. ოთხი მაშველი ამოიყვანეს ცოცხლად ნანგრევებიდან.




* * *

**აშშ-ს პოლიციამ დააპატიმრა ანა კურნიკოვას დედა მშობლის მოვალეობის შეუსრულებლობის გამო**

მისი უმცროსი შვილი, ანას ძმა ალანი გადმოვარდა მეორე სართულიდან. იგი უყურადღებოდ იყო მიტოვებული. 5 წლის ბავშვი მეზობლებმა ნახეს, რის შემდეგ იგი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ალანმა განაცხადა, რომ თავად გადახტა ფანჯრიდან. ანა კურნიკოვა სახლიდან ერთი საათით გავიდა საქმეებზე.




* * *

**ჰაიტიზე დაღუპულთა რაოდენობამ 75 ათას კაცს მიაღწია. სეისმოლოგებს ახალი მიწისძვრის ეშინიათ**

ადრე ჰაიტის მთავრობის წარმომადგენელი პეროლ ჟოზეფი იტყობინებოდა 70 ათასი დაღუპულის შესახებ. ჰაიტელების დასახმარებლად სახელმწიფოები, დიდი კომპანიები და შოუ-ბიზნესის „ვარსკვლავები“ დიდ თანხას გამოყოფენ. რუსი მაშველები სახლში გამოფენას 23 იანვრის შემდეგ აპირებენ.



## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

*ერთი წლის წინათ, „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის დავალებით შევხვდი თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ გიორგი აბაშვილს. მასთან საუბარი დაიბეჭდა 2009 წლის 13 იანვრის ნომერში სათაურით: „მთები ისევ დგანან და ისევ ელიან“... უკვდავი ვაჟას მთების თიანეთური მოლოდინი, ბუნებრივია, გულისხმობდა იმ მოუგვარებელ პრობლემებს, რაც ამ ბოლო ოცი წლის განმავლობაში ქვეყნის ყველა კუთხეს და მათ შორის ამ რაიონსაც დაუგროვდა.*

*მაშინ გამგებელმა გამოთქვა რწმენა, იმედი იმისა, რომ ამ პრობლემებს 2009 წელს თუ მთლიანად არა, მათ უმეტესობას აუცილებლად დაძლევდნენ. წელგამართულად შეხვდებოდნენ ვეფხვის წელიწადს.*

*და აი, უკვე 2010 წლის იანვარია. მართლაც საინტერესოა, როგორ იშრომა რაიონის მოსახლეობამ, მისმა ხელმძღვანელობამ, რა გააკეთა და რა დარჩა გასაკეთებელი.*

*შარშან აქ პირველი რიგის ამოცანად იყო მიჩნეული დაბა თიანეთის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა, ცენტრალური თუ შიდა გზების მოასფალტება, თიანეთის კულტურის სახლის კაპიტალური რემონტი, აგრეთვე საშუალო სკოლების, საბავშვო ბაღების, სპორტული მოედნების შეკეთება-შელამაზების ფართო გეგმის განხორციელება.*

# რწმენა... მთებს ძრავს!

— რაც თქვენ ჩამოთვალეთ, — არ აყოვნებს პასუხს გამგებელი, — მართლაც ყველაზე აუცილებელი და გადაუდებელი იყო ჩვენთვის. ამ პრობლემის გადაჭრისთვის ბრძოლა, შეიძლება ითქვას, მოგებულია.

— კულტურის სახლი?

— კულტურის სახლზე არაფერს გეტყვით, ის თვითონ თქვენ უნდა ნახოთ.

გამგებელი მართალი აღმოჩნდა. თიანეთის კულტურის სახლი, რომელიც 35 წლის წინათ აშენდა, 2009 წელს ხელახლა დაიბადა, კედლები, სახურავი, დარბაზი, სცენა, სამუშაო ოთახები უმაღლეს დონეზე შეკეთდა და გალამაზდა. დაიდგა ხმის გამაძლიერებელი ახალი აპარატურა, რომელიც მეზობლებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ზურაბ ოტიაშვილმა უსასყიდლოდ გადასცა.

კულტურის სახლი შარშან ზაფხულს სახალხო დღესასწაულზე, „თიანეთობაზე“ გაიხსნა. ეს ზეიმი, ეს წარმატებანი თიანელებს მაშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ მიულოცა.



კულტურის სახლთან ერთად გასუფთავდა და კეთილმოეწყო ვაჟა-ფშაველას სახელობის თიანეთის კულტურისა და დასვენების პარკი, შერემონტდა პარკში გადასასვლელი ხიდი. სახე შეიცვალა და გალამაზდა თიანეთის სპორტსკოლა.

— კმაყოფილი ბრძანდებით გაწეული მუშაობით? — ვეუბნები გიორგის.

— კმაყოფილი? არა, ყველაფერი მე ჯერ არ მითქვამს. კმაყოფილი ვართ იმით, რაც გაკეთდა, მაგრამ გული გვწყდება იმაზე, რაც მაინც დაგვრჩა. ჩვენი მიზანი იყო რესპუბლიკაში მოგვეძია სახსრები დაბა თიანეთში ბუნებრივი გაზის ქსელის აღდგენისთვის, მაგრამ ჯერჯერობით ეს ვერ მოხერხდა. მართალია, ეს ჩვენი ბრალი არ არის, მაგრამ მაინც ნაკლად მიგვაჩნია. მიუხედავად ამისა, ჩვენ იმედს არ ვკარგავთ და გვჯერა, მიზანს აუცილებლად მივაღწევთ.

ჩვენთვის ასევე პრობლემად რჩება მუშახელის დასაქმება. ძალიან გაგვიჭირდა ადგილობრივი მრეწველობის აღორძინებისთვის სათანადო კადრების, ინდმეწარმე ორგანიზატორების გამონახვა. და ეს მაშინ, როცა უფრო ადვილია იაფი კრედიტების შოვნა წარმოების დასაწყებად.

უფრო საიმედო და პერსპექტიული თიანეთში მაინც ტურიზმია. 2009 წელს დამატებით გაიხსნა რამდენიმე კერძო სასტუმრო, პირველმა ტურისტულმა ჯგუფებმა უკვე არაერთგზის გადასერეს ივრის ხეობის მწვერვალები. საოჯახო ტურიზმი წელსაც გაიზრდება. მაგრამ მოსახლეობის დასაქმებისთვის რომ იტყვიან, ყველაფერი ეს ზღვაში წვეთია.

— 2010 წლის გეგმიურ პროექტებზე რას იტყვით?

— 2010 წლისთვის ტრადიციულად დაგეგმილია რაიონის მთელი რიგი სოფლების წყალსადენების სათავე ნაგებობებისა და შიდა ქსელების აღდგენა, დაბა თიანეთის №1, სოფლების — ტუშურების, ზარიძეების, საჯარო სკოლების, ს. გორანის დაწყებითი სკოლის რეაბილიტაცია.

კიდევ უფრო გალამაზდება დაბა თიანეთი. დაიდგმება ახალი ლამპიონები. სახურავი გამოეცვლება საცხოვრებელ კორპუსებს. აქვე მიმდინარე წელს დაგეგმილია ლაშარის,



ნამორაძის, სანიკიძის, ჭავჭავაძის, წერეთლის და თეთრახევის ქუჩების მოასფალტება. თეთრახევის ქუჩის გასწვრივ სტიქიურად იყრება ნაგავი, რისთვისაც საჭიროა შორიახლო სათანადო ორმოს გაჭრა... ერთი სიტყვით, საქმე ბლომად არის, თუმცა რაც შარშან ვიმუშავეთ, რაც შარშან ვივაჟკაცეთ, წელს იმდენი დაძაბულობა აღარ მოგვიწევს. ახალი პროექტები, რაც წელს ჩამოყალიბდა, რეალურია და მათი განხორციელება არ უნდა გაგვიჭირდეს.

...ასე გამოიკვეთა ბატონ გიორგი აბაშვილის დამაჯერებელი, ოპტიმისტური განწყობა საქმისადმი, პრობლემებისადმი. მას როგორც ხელმძღვანელს, ორგანიზატორს, გააჩნია მთავარზე მთავარი — ეს არის ნდობა ადამიანებისადმი და საქმის შესრულების, საქმის დაძლევის ღრმა რწმენა. ხოლო რწმენა, მოგეხსენებათ, მთებს ძრავს...

წარმატება ვუსურვოთ მას!

**ღვთისავარ არჩემაშვილი,**

**ჩვენი კორ. თიანეთი-თბილისი.**

**სურათებზე: თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი აბაშვილი და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე სარაიონო კულტურის სახლის გახსნის დროს; თიანეთის სპორტსკოლა რემონტის შემდეგ.**

## სხვა გაზეთიდან

# მას მქონდა როყის ქვემზე, შემდეგ კი დაიწყო მათი ჭამა

**საიანოგორსკის მცხოვრებს ივან ბორდაკოვს, როგორც ჩვილს, ისე დაუწყო კბილებმა ამოსვლა. და კიდევ, იგი არასოდეს არ ხდება ავად. საიდუმლო, მისი აზრით, უბრალოდ ქვებშია.**

ივანი დაიბადა და გაიზარდა სტავროპოლში, მდინარე ყუბანზე. ერთხელ შემოდგომით მამამ, რომელიც საბჭოთა მეურეობის მწყემსი იყო, გადაწყვიტა მატყლის ჩაბარება და თან პატარა ვანიაც წაიყვანა. ღამის გასათევად მდინარეზე დარჩნენ და მამამ ნაპირზე შეაგროვა ქვები, რათა ისინი ჩაეწყო ქათმის ბუდეებში: „ფრინველი აღარ იავადმყოფებს“.

ივანი დიდხანს თამაშობდა ქვებით. „მათ მე ჰიპნოზი გამიკეთეს“, — იხსენებს დღეს ივან ბორდაკოვი.

თავისი პირველი სამკურნალო ქვა მან იპოვა, უკვე როცა დიდი იყო, გზის პირას. ორმომ, რომელიც ცერით ჩაჭყლეტილი გეგონებოდა, როდესაც თიხისგან რაღაცას აკეთებ, მიიყვანა იგი იმ აზრამდე, რომ ეს ქვა სულაც არ არის ქვა, იგი წამალია. ივანმა გაასუფთავა ხელით ორმო და იგრძნო ენერგიის მოზღვავება, რამაც დაარწმუნა იგი თავისი დასკვნის სისწორეში.



ბორდაკოვმა დაიწყო გარკვეული ზომისა და ფორმების ქვების შეგროვება: ისინი ჰგავდნენ ან ღვიძლს, ან გულს, ან ფილტვებს...

— მე გამოცდების სერია მოვაწყე და დავრწმუნდი: ხეხვის დროს ქვებისგან გამოდის დადებითად დამუხტული ენერგია. შემდეგ აზრმა გამიელვა: ქვები ეხმარებიან ადამიანს ბევრ დაავადებასთან ბრძოლაში.

1994 წელს ივანმა გასინჯა კენჭით მკურნალობა, დააწყო ისინი საწოლზე ისე, რომ თავთან აღმოჩნდა ქვა — თავის ტვინის ზუსტი ასლი, უფრო ქვევით ფილტვების, გულის, თირკმელების, ღვიძლის, სასქესო ორგანოების მაგვარი ქვები. შემდეგ ექსპერიმენტულად დაწვა მათზე ისე, რომ ტვინი დაემთხვა „ტვინს“, გული — „გულს“, ღვიძლი — „ღვიძლს“... ჯერ იგრძნო სიცხე, რომელიც შეცვალა დიდმა ოფლისღვრამ.

შემდეგ მან ჩაიდანში ჩაყარა ქვის „ორგანოები“ — მათი მოცულობის მეოთხედი და აადუღა წყალი, მოხარშა ჩაი და წვნიანიც კი გააკეთა ამ წყლისგან. ასე გაგრძელდა ერთი თვის განმავლობაში. შემდეგ მოულოდნელად დაეწყო ძვლებისა და კუნთების ტკივილი, თითქოს ისინი ხორცსაკეპში გაეტარებინოთ. თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ბორდაკოვს ხან სიცხე აწუხებდა და ხან სიცივე. შარდვის დროს სისხლს გადიოდა, თავი ისე სტკიოდა, რომ სასწრაფო დახმარების გამოძახებაც სჭირდებოდა. მაგრამ დადგა მომენტი, როდესაც იგი ყოველგვარმა ავადმყოფობამ საბოლოოდ დატოვა. მან გაუძლო გამოცდას, რომელსაც ტიბეტელები წმინდა სიკვდილს უწოდებენ. მაგრამ შიში ტკივილების გამო ისეთი იყო, რომ ორი წლის განმავლობაში მას ქვებისთვის ხელი არ უხლია.

შემდეგ ივან ბორდაკოვმა გადაყლაპა რამდენიმე პატარა ქვა — დღეში ერთი ცალი. ქვის „აბებს“ სვამდა წყალში გახსნილი ნაღველით. ის უკვე 56 წლის იყო, მაგრამ უკვე გაცვეთილმა კბილებმა დაიწყეს განახლება და ამავდროულად ახალი კბილების ამოსვლა.

— ეტყობა, მე მკურნალობაში ძალიან გადავაჭარბე — ერთი კბილის ახლოს გაჩნდა „ახალი“ კბილის წამონაზარდი. ყოველივე ეს დაფიქსირებულია ჩემს სტომატოლოგიურ ბარათში და რენტგენის სურათზე. მე რომ გამეგრძელებინა მკურნალობა, დარწმუნებული ვარ, ამომეზრდებოდა კბილების მეორე რიგი.

ბორდაკოვი მიჩვენებს რენტგენის სურათს — ყველაფერი სიმართლეა!

მას შემდეგ, გვარწმუნებს იგი, არასოდეს ვყოფილვარ ავად. მკურნალი დარწმუნებულია: დაავადებათა თავიდან ასაცილებლად და ძველ დაავადებათა სამკურნალოდ საჭიროა მოინახოს ქვა, რომელიც იქნება დაავადებული ორგანოს მსგავსი, დაამუშავო იგი მტვერის კონსისტენციამდე და დალიო. აგრეთვე უნდა მივიდოთ თვალზე, თავზე, თირკმელებზე, ფილტვებზე...

მაგრამ სანამ მთელ ქვეყანას ავუხსნიდეთ მინერალების მოქმედების საიდუმლოს ორგანიზმის ცოცხალ ქსოვილებზე, მას საჭიროდ მიაჩნია ლაბორატორიული გზით დადასტურდეს წიაღისეულის გამოყენების ახალი მიმართულება, რისი გაკეთებაც მას, რასაკვირველია, არ შეუძლია.

**ნინა ბოგატირიოვა**

### ექსპერტის კომენტარები:

***ალექსანდრ კარაბინენკო**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის პროფესორი:*

*— ქვების გამოყენება საკვებში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება — გადამუშავებული სახითაც კი. ჯერ ერთი, დაქუცმაცებულმაც კი შეიძლება ტრავმა მიაყენოს კუჭის გარსს, ეს კი იწვევს კუჭში სისხლის დენას, წყლულს და სხვა დაავადებებს. მეორეც, ქვის ფრაგმენტები არ ტოვებენ კუჭს, რჩებიან მასში სამუდამოდ. დროთა განმავლობაში ისინი იზრდებიან მოცულობით და ხელს უშლიან საკვების მონელებასა და გამოსვლას. კუჭის შიგნიდან ქვების გამოღება კი შესაძლებელია მხოლოდ ქირურგიული გზით.*

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## განცხადება

**შპს თასსკი „ელვა“ აცხადებს აუქციონს საწარმოს ბალანსზე რიცხული ფართის იჯარით გაცემაზე შენობის მე-3 სართულზე 1000 მ².**

საწყისი საიჯარო ქირა 1მ²-ზე შეადგენს 4 (ოთხი) ლარს დღგ-ს და კომუნალური გადასახადების დამატებით.

აუქციონი ჩატარდება 2010 წლის 3 თებერვალს 12 საათზე, ჯიქიას ქ. №10-ში.

**განცხადების მიღების ბოლო ვადაა 2010 წლის 2 თებერვალი.**

**საკონტაქტო ტელეფონი 54-51-95.**

საწარმოს დირექცია

ჭადრაკი

# ქალებს ორი მოთამაშე გამოაკლდა

**თბილისსა და ქუთაისში გრძელდება მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატები, რომლებშიც თავიდან სხვადასხვა ქალაქის 14-14 წარმომადგენელი მონაწილეობდა, მაგრამ მანდილოსნებმა ბოლომდე ვერ გაუძლეს მარათონს და ავადმყოფობის გამო შეჯიბრებას ნანა ძაგნიძე და ინგა ხურცილავა გამოეთიშნენ, თუმცა ძაგნიძემ მე-10 ტურში თამაში მოასწრო, სადაც ქეთი წაწალაშვილთან დამარცხდა.** ჩემპიონობის უშუალო ფავორიტების — სალომე მელიას და ნინო ხურციძის ორთაბრძოლა უფრო გამოცდილი ხურციძის გამარჯვებით დამთავრდა, რომელიც ერთპიროვნულად დაწინაურდა. საქართველოს ნაკრების წევრ მაია ლომინეიშვილს ხურცილავას გამოუცხადებლობის გამო გათამაშების ცხრილში ტექნიკური მოგება ჩაეწერა. დანარჩენი შედეგები ასეთია: ანა გავაშელი — მერი არაბიძე 0:1, თამარ წერეთელი — ბელა ხოტენაშვილი 1:0, მირანდა მიქაძე — სოფიო ხუხაშვილი 05:0,5, მაკა ფურცელაძე — ნინო ბაციაშვილი 1:0.



**სატურნირო მდგომარეობა:** ხურციძე — 8, მელია — 7,5, ლომინეიშვილი — 7, ბაციაშვილი — 6, მიქაძე, წაწალაშვილი, წერეთელი — 5,5:5,5, ხოტენაშვილი, არაბიძე — 5, ფურცელაძე — 4,5, ძაგნიძე, ხუხაშვილი — 4-4, გავაშელი — 1,5, ხურცილავა — 1 ქულა.

ვაჟები უფრო გამძლენი აღმოჩნდნენ და უცვლელი შემადგენლობით განაგრძობენ ბრძოლას საპრიზო ადგილებისთვის. სპეციალისტებს სასიამოვნოდ აოცებს ახალგაზრდა ოსტატი ლუკა პაიჭაძე, რომელმაც მერვე ტურში გაიოზ ნიგალიძე დაამარცხა და ლიდერის პოზიცია შეინარჩუნა. მასთან ერთად გათამაშების ცხრილის სათავეში დგას მერაბ გაგუნაშვილი, მან კონსტანტინე შანავას დააყრევინა ფარ-ხმალი. დავით არუთინიანისა და გიორგი მარგველაშვილის შეხვედრაში დებიუტიდანვე უპირატესობას მარგველაშვილი ფლობდა, ამიტომ მიტელშპილში თეთრების მიერ შეთავაზებულ ყაიმზე უარი თქვა. ენდშპილში მან რამდენიმე უზუსტო სვლა გააკეთა და გამოცდილ არუთინიანს არ გასჭირვებია, პარტია სასურველ დასასრულამდე მიეყვანა. მერვე ტურში, ასევე, წარმატებას მიაღწია თამაზ გელაშვილმა, რომელმაც შავებით ბეგლარ ჯობავას სძლია, ხოლო დავით ბენიძემ ზურაბ ჯავახაძეს მოუგო. დაზავდნენ: მალხაზ სულაშვილი — დავით ჯოჯუა, თორნიკე სანიკიძე — ლევან ფანცულაია.

**სატურნირო მდგომარეობა:** გაგუნაშვილი, პაიჭაძე — 5,5, გელაშვილი — 5, ბენიძე, ჯობავა, შანავა, არუთინიანი — 4,5-4,5, ფანცულაია, ნიგალიძე — 4-4, სულაშვილი — 3,5, სანიკიძე, ჯობავა, მარგველაშვილი — 3-3, ჯავახაძე — 1,5 ქულა.

**სურათზე: კონსტანტინე შანავას (მარცხნივ) და გაიოზ ნიგალიძის შეხვედრის მომენტი.**

მძლეოსნობა

# მარიამი რეკორდებით იწყებს



**ამერიკის შეერთებული შტატების საუნივერსიტეტო ჩემპიონატის პირველ ეტაპზე, რომელსაც კენტუკის შტატის ქალაქ ლესინგტონმა უმასპინძლა, ქართველმა მძლეოსანმა მარიამ ქევხიშვილმა ბირთვი 18,47 მეტრზე ჰკრა, რითაც საქართველოს ზამთრის ჩემპიონატისა და ფლორიდის უნივერსიტეტის რეკორდები გააუმჯობესა. საქართველოს უწინდელი მიღწევა (18,14 მ.) ატლანტის ოლიმპიადის მონაწილე ელვირა ურუსოვას ეკუთვნოდა, რომელიც 1996 წელს დაამყარა.**

მარიამ ქევხიშვილი სამი წელიწადია, ამერიკაში სწავლობს და იქვე ვარჯიშობს სტივ ლემკეს ხელმძღვანელობით. იგი წლეულს ოკეანის გაღმა რამდენიმე შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას. ყველაზე მნიშვნელოვანი კი 12-14 მარტს აშშ-ს უნივერსიტეტების ჩემპიონატი იქნება. ზაფხულში საქართველოს სახელით ორ შეჯიბრებაზე გამოვა: 20-21 ივნისს მალტაში ევროპის ჩემპიონატის მესამე დივიზიონის პირველობაში იასპარეზებს, ხოლო 27-31 ივლისს ბარსელონაში კონტინენტის მთავარ ჩემპიონატში იბრძოლებს მედლებისთვის.

# „სპორტის დედოფალს“ სიცივე არ აშინებს

**ვერა და ვერ იქნა დიდუბის მძლეოსნობის მანეჟის გათბობა. ამის მიუხედავად, უკვე რამდენიმე წელიწადია, ჩვენი ათლეტები გაყინულ დარბაზში ეჯიბრებიან ერთმანეთს, სადაც ტრავმების ალბათობა საგრძნობლად მაღალია. სხვა საშუალება რომ არ არის, ახლაც აქ მოიყარეს თავი თბილისის მოსწავლეთა ზამთრის ღია პირველობის მონაწილეებმა. დედაქალაქის, ბორჯომის, ახმეტის, ზუგდიდისა და ოზურგეთის 200-მდე წარმომადგენელმა იასპარეზა საპრიზო ადგილებისთვის.**

გაუწყებთ გამარჯვებულთა ვინაობას: **სირბილი 60 მ.** სალომე აბშილავა (ზუგდიდი — თბილისი, 7,9წ) და ბექა ასლანიშვილი (თბილისი, 7,1წ). **თარჯრბენი. 60 მ.** ლევან შანავა (თბილისი, 9,0წ). **150 მ.** თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი, 20.8წ) და ბექა ასლანიშვილი (17.5წ). **300 მ.** თინათინ პაპუაშვილი (44.8წ) და ნიკა კარტავცევი (ოზურგეთი, 37.2წ). **600 მ.** თინათინ პაპუაშვილი (1.44,5წ) და ნიკა კარტავცევი (1.25,1წ). **1000 მ.** სოფიო ჩოჩნიძე (ბორჯომი — თბილისი, 3.28,4წ) და დავით ხარაზიშვილი (თბილისი, 2.44,9წ). **3000 მ.** დავით ხარაზიშვილი (9.33,8წ). **სიგრძეზე ხტომა.** ქეთევან დათუნაშვილი (თბილისი, 4,52მ) და ლაშა ღულელაური (ახმეტა, 6,91მ). **სამხტომი.** ლაშა ღულელაშვილი (14.82მ). **ბირთვი.** ლევან წიკლაური.

ჭიდაობა



# პირველი მედლები ბაქოდან

**გასულ უქმეებზე აზერბაიჯანის დედაქალაქში ცნობილი ფალავნის — მუშკიგ ისაევის მემორიალი გაიმართა თავისუფალ ჭიდაობაში.** საასპარეზოდ მასპინძლებთან ერთად ქართველმა, ფრანგმა, ირანელმა, რუსმა, არაბმა, უზბეკმა და დაღესტნელმა ახალგაზრდებმაც მოიყარეს თავი. ჩვენმა ბიჭებმა 1 ოქროს და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა დავით მუზიაშვილი (58კ), ხოლო ბექა ბუჯიაშვილმა (46კ), ირაკლი მოსიძემ (63კ), ლაშა გიგაშვილმა (69კ) და გიორგი კაკაურიძემ (მძიმე წონა) მესამე ადგილები დაიკავეს.

ინტერნეტიდან

# სპორტსმენებიც დაიღუპნენ

**უძლიერესი მიწისძვრის შედეგებს ჰაიტში დიდხანს ვერ დაივიწყებენ, მან მძიმე კვალი დატოვა ქვეყნის მთელ ცხოვრებაზე, მის ყველა სფეროზე.**

როგორც ცნობილი გახდა, მიწისძვრის დროს დაღუპულებად გამოაცხადეს ჰაიტის ფეხბურთის ფედერაციის 30-მდე წევრი. დაღუპულთა შორის ფეხბურთელებთან ერთად არიან მსაჯები, მწვრთნელები, მედიცინის მუშაკები.

ამას გარდა, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ დაახლოებით შვიდი ჰაიტელი ოლიმპიელი დაიღუპა ამ კატასტროფაში. ამჟამად ზუსტდება დაღუპულ ფეხბურთელთა რიცხვი.



# წლის პირველ სუპერტურნირზე

**ჭადრაკი გვაქვს მხედველობაში. ამ ბრძნული თამაშის დიდოსტატებმა ახალი, 2010 წლის სეზონი ჰოლანდიაში, ვეიკ-ან-ზეეს ტრადიციული სუპერტურნირით გახსნეს.**

აი, ვინ მონაწილეობს ჰოლანდიურ „სისხლისღვრაში“ (ფრჩხილებში მითითებულია მათი ადგილი ფიდეს იანვრის რეიტინგში): **1. სერგეი კარიაკინი** (რუსეთი — 2720წ, **2. ლენიერ დომინგესი** (კუბა — 2712წ, **3. პეტერ ლეკო** (უნგრეთი — 2739წ, **4. ფაბიანო კარუანა** (იტალია — 2675წ, **5. სერგეი ტივიაკოვი** (ჰოლანდია — 2662წ, **6. იან სმიტსი** (ჰოლანდია — 2657წ, **7. ლიუკ ვან-ველი** (ჰოლანდია — 2641წ, **8. ნაიჯელ შორტი** (ინგლისი — 2696წ, **9. ხიკარუ ნაკამურა** (აშშ — 2708წ,**10. მაგნუს ლარსენი** (ნორვეგია — 2810წ, **11. ვასილ ივანჩუკი** (უკრაინა — 2749წ, **12. ალექსეი შიროვი** (ესპანეთი — 2723წ, **13. ვლადიმირ კრამნიკი** (რუსეთი — 788წ, **14. ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი — 2890წ.



რუსეთის მოქალაქედ გამხდარი უკრაინელი სერგეი კარიაკინი წილისყრამ პირველ ტურში მსოფლიო ჩემპიონ ვიში ანანდის შეახვედრა. ორთაბრძოლა ერთობ დაძაბული გამოდგა, მაგრამ 30-ე სვლაზე გარუსებული უკრაინელი შეცდა. ამით ანანდს შეეძლო პარტიის დიდხანს გაგრძელება და 20 წლის მეტოქის გაწვალება. მაგრამ ეს მან არ გააკეთა და მეტოქეს ყაიმზე შეუთანხმდა. ასევე ბრძოლის გამწვავება არ მოისურვა კრამნიკმა კუბელი დომინგესის წინააღმდეგ. და ისინიც დაზავდნენ. ასევე „მშვიდობიანად“ დაამთავრეს პარტიები კარუანა — ივანოვიჩმა, ტივიაკოვ — კარლსენმა, სმიტს — ნაკამურამ. „დაიღვარა პირველი სისხლიც“ — ლეკო დამარცხდა შიროვთან, ვან ველმა სძლია შორტს.

გაიმართა კიდევ ორი ტური. ორივე ძალზე დაძაბული გამოდგა. სამი ტურის შემდეგ 3 ქულით ლიდერობს შიროვი. შემდეგ ქულები ასე ნაწილდება: კარსლენი, ნაკამურა — 2,5, ივანჩუკი — 2, კარიაკინი, კრამნიკი, ანანდი, დომინგესი — 1,5, ვან ველი, კარუანა, ლეკო, ტივიაკოვი — 1, სმიტი, შორტი — 0,5.

# რაფაელი ორთაბრძოლითაა გატაცებული

**თუ როგორ იცავს თავის დიდებულ ფორმას 23 წლის ისრაელელი სუპერმოდელი ბარ რაფაელი, ლამაზმანმა ჟურნალისტებს გაუმჟღავნა.**

როგორც აღმოჩნდა, საქმე ეხება რამდენიმე სახეობის შეთანხმებას, რასაც მის მშობლიურ ისრაელში კრავ მაგა ჰქვია. კონტაქტური ბრძოლის ეს სახეობა აქცენტს აკეთებს საფრთხის სწრაფ ნეიტრალიზაციაზე რეალური ცხოვრების პირობებში. ორთაბრძოლის სისტემა პოპულარული გახდა მას შემდეგ, როდესაც ის ძალოვან სტრუქტურებში დაინერგა.



კრავ მაგაში არ არსებობს ზუსტი წესები და არაა განსხვავება ვაჟთა და ქალთა წვრთნაში. ბარი კი სწორედ ამან გაიტაცა. აღსანიშნავია, რომ ლამაზმანმა პრიზიც მოიპოვა 2009 წლის საუკეთესო ფოტოსესიისთვის საშობაო კოსტიუმით.

⊙ წუხელ დიდ საკონცერტო დარბაზში

# ბედნიერი თბილისელი ბიჭი...

## ხან კვნესოდა, ხან ხალისობდა თემურ ყვითელაშვილის ჯადოსნური გიტარა

**დამთავრდა რუსთაველზე რესტორან „დარიალის“ (ბოლოს რომ „ფიროსმანი“ ერქვა) ეპოქა. აქ ახლა „მაგთი კლუბია“ და შემოქმედებითი საღამოები იმართება ხოლმე. ერთი სიტყვით „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“.**

ამ დღეებში კლუბი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გიტარისტს თემურ ყვითელაშვილს დაუთმო კომპანია „მაგთიმ“. სანამ თემური წუხელ დიდ საკონცერტო დარბაზში რიგით მეშვიდე სოლო კონცერტს გამართავდა, რაც მისი ახალი ალბომის გამოცემასაც უკავშირდება, რეპეტიციები სწორედ „მაგთი კლუბში“ ჰქონდა.

— თან გადამყვა „მაგთი“, ალბომის გამოცემა, რეპეტიციები, კონცერტი... მადლობის მეტი რა მეთქმის.. — მითხრა გუშინ, კონცერტის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე, მუსიკოსმა, რომელიც, მეგობრებთან ერთად, კლუბში კიდევ ერთხელ ამოწმებდა ზოგ ნომერს, ხვეწდა, ჩაჰკირკიტებდა...

**— კარგა ხანია აღარ შეხვედრიხართ თბილისელ მსმენელს,** — ვეუბნები, როდესაც ყველაფერი მიალაგ-მოალაგა, მეგობარ მუსიკოსებს საღამომდე დაემშვიდობა და ჩემს გვერდით ჩამოჯდა.

— მართლაც, ...შეიძლება ითქვას, მონატრებულიც კი ვარ... ეს კონცერტი ჯერ კიდევ 2008 წლის ბოლოს უნდა გამართულიყო, მაგრამ დედა გარდამეცვალა და, მთელი წელი, გიტარას არ გავკარებივარ...

**— ისევ ძველ თბილისში ცხოვრობთ?.. ამას იმიტომ გეკითხებით, კარგა ხნის წინათ, თქვენზე რომ ჩანახატი დავბეჭდე „საქართველოს რესპუბლიკაში“, იმასაც ვწერდი, რა ვიწროდ ცხოვრობდით ერთად მთელი ოჯახი...**



— ისევ იქ ვარ, ბატონო ვილენ... არც ბინა, არც მანქანა... მაგრამ ბედს არ ვემდური... პირიქით, ბედნიერი ვარ, რომ საპატრიარქომ გამომიყო სარეპეტიციოდ ოთახი, უწმინდესი და უნეტარესი დიდად აფასებს ჩემს შემოქმედებას, ხშირად ვხვდებით ხოლმე ერთმანეთს და ვისმენ მის ბრძნულ საუბრებს... შოუ ბიზნესში შეუძლებელია იყო პიროვნება, იყო დიდი ხელოვანი და გქონდეს ფული... მაშინ საკუთარი პრინციპების, მეობის დათმობა მოგიწევს...

**— ბევრისთვისაა ცნობილი, რომ თქვენ სწორედ პრინციპულობამ, უდიდესმა შრომისმოყვარეობამ, პროფესიისადმი ფანატიკურმა სიყვარულმა გაქციათ ერთ-ერთ უდიდეს გიტარისტად, ოთხი ბრენდის სახედ, მრავალი ჯილდოს მფლობელად, რომელსაც მასტერ კლასები აქვს სან-ფრანცისკოში, ლოს-ანჯელესში, ევროპის ქვეყნებში...**

**ისიც ცნობილია, თქვენი რეპერტუარი, ძირითადად, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებზე რომაა აგებული, მაგრამ ამდენი საკუთარი კომპოზიციაც თუ გქონდათ, არ მეგონა...**

— მაშ... მაგალითად, დღეს საღამოს სრულიად ახალ 12-13 საკუთარ კომპოზიციასაც შევასრულებ, საერთოდ, კონცერტის 80 პროცენტი მსმენელისთვის სრულიად უცნობი ნაწარმოებები იქნება.

**— იმ დღეს ტელევიზორში მომღერლადაც გამოგვეცხადეთ — თბილისზე მღეროდით — „ჩაუქრობელი კელაპტარი ხარ, ჩემო თბილისო, დედაო ჩემო“... შესანიშნავი იყო...**

— ბატონი ვაჟა აზარაშვილის სიმღერაა, ტექსტი მაია სარალიძეს ეკუთვნის... რა სჯობს თუ მოგეწონათ... თბილისი ხომ ჩემი სიცოცხლეა... ჩემმა პროფესიამ მსოფლიო შემომატარა, მაგრამ ამ ქალაქისთანა სითბო და სილაღე (დღესაც კი — ავი დროის მიუხედავადძ არსად შემხვედრია, მე ახლაც, თითქმის ორმოცდაათი წლისა, „მაედნელ“ ბიჭად ვრჩები, რადგან ამ განუმეორებელი ქალაქის სიყვარული პატარაობიდან მომდევს... თუნდაც ამიტომ ძალიან ვღელავ თბილისელებთან შეხვედრის წინ.

* * *

ღელვა დაცხრა, კონცერტმა უმაღლეს დონეზე ჩაიარა... იყო წუხელ დიდ საკონცერტო დარბაზში ტაში და ოვაცია, იყო ჭეშმარიტად გაკვირვება მუსიკოსის ვირტუოზული შესრულების, ელექტროგიტარის „ყოვლისშემძლეობის“ გამო... ხან კვნესოდა, ხან ხალისობდა ეს ჯადოსნური ინსტრუმენტი, ნაირგვარი მელოდია იღვრებოდა ირგვლივ, გვერდით ედგნენ თემურს მეგობარი ინსტრუმენტალისტები — თემურ მაისაშვილი, გიორგი მაჭარაშვილი, მერაბ მამულაშვილი, ოთარ ყუფუნია, დავით ჯაფარიძე, ზაზა ცერცვაძე, ლევან დეისაძე, ჯანსულ კახიძის ორკესტრის მცირე შემადგენლობა... ყველა იზიარებდა თემურ ყვითელაშვილის — უბრალო თბილისელ ბიჭად დარჩენილი დიდი მუსიკოსშემსრულებლის, კომპოზიტორის, მომღერლის უსაზღვრო ბედნიერებას. რა დასამალია, მეც შევძახე ერთ-ორჯერ „ბრავო, თემურ“!..

ალალ იყოს!

**ვილენ მარდალეიშვილი**

⊙ ანიმაცია




**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი დ.მედვედევი და პრემიერ-მინისტრი ვ.პუტინი ანიმაციური პროექტის „მულტპიროვნებანი“ ძირითადი პერსონაჟები არიან. პროექტმა სტარტი აიღო ახალი წლის წინ. რუსული პირველი არხის ხელმძღვანელის კ.ერნსტის სიტყვებით, როდესაც ბატონების პუტინისა და მედვედევის მულტსახეები მუშავდებოდა, მისთვის არ მოუთხოვიათ კრემლთან კონსულტაციები. თანაც ერნსტმა აღიარა, რომ „მულტპიროვნებათა“ მწარმოებლები „ცდილობენ იმოქმედონ ფრთხილად“. „შეიძლება შეურაცხყოფა მიაყენო ადამიანებს შოუბიზნესიდან, ვინაიდან ასეთი პიროვნება თავისი სახით ვაჭრობს და სხვა არაფერზე პასუხისმგებელი არ არის. პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი კი წარმოგვიდგებიან თავიანთი თანამდებობებით. ის, ვინც შეურაცხყოფას აყენებს ერთ-ერთ მათგანს, შეურაცხყოფას აყენებს ამავე დროს ბევრ სხვა რამესაც“, — განაცხადა ერნსტმა.**

**ისე, ლამაზად კი გამოიყურებოდნენ არა რუსეთის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი?! იქნებ საქართველოზეც უნდა ველოდოთ ახალ ჩასტუშკებს პუტინისა და მედვედევის მეშვეობით?!**

ხსოვნა

# სოსო მანია



**გარდაიცვალა თვალსაჩინო პიროვნება, სწავლული და პედაგოგი სოსო პოლიექტის ძე მანია. ღირსეული ადამიანი დააკლდა აფხაზეთის ინტელიგენციას, კიდევ ერთი მამულიშვილი წავიდა ამქვეყნიდან.**

**ხანმოკლე, მაგრამ საინტერესო გზა განვლო ბატონმა სოსომ. ის დაიბადა 1957 წლის 29 მაისს, ქ. სოხუმში. 1973 წელს დაამთავრა სოხუმის მე-6 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა სოხუმის ა. მ. გორკის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, იყო ლენინური სტიპენდიატი. მან 1977 წელს დაამთავრა ზემოთ ხსენებული ინსტიტუტი წითელ დიპლომზე. 1978 წელს ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, რომელიც დაამთავრა 1981 წელს.**

**1981 წელს სოსო მანია დაუბრუნდა მშობლიურ უმაღლეს სასწავლებელს და მუშაობა დაიწყო მათემატიკური ანალიზის კათედრაზე მასწავლებლად, 1984 წლიდან კი არჩეულ იქნა უფროს მასწავლებლად.**

**1989 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იგი ლექციებს კითხულობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში. 1990 წელს იგი გაგზავნილ იქნა სტაჟირებაზე უკრაინაში, ქ. კიევში, მათემატიკის ინსტიტუტში, სადაც მუშაობდა ცნობილ პროფესორთან ბატონ იგორ შევჩუკთან, 1991 წლიდან მათემატიკური ანალიზისა და უმაღლესი მათემატიკის კათედრაზე უფროს მასწავლებლად. 2006 წელს სოსო მანია არჩეულ იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორად. 2006-2008 წლებში ამავდროულად მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის რექტორის აპარატის უფროსად.**

**2006 წლიდან დღემდე იგი პარალელურად მუშაობდა დავით გურამიშვილის სახელობის ქართულ-უკრაინულ საერთაშორისო უნივერსიტეტ „იბერიაში“ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორად, ამავდროულად უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების უფროსად.**

**უნივერსიტეტში ბატონ სოსო მანიას მიჰყავდა ლექციების კურსი უმაღლეს მათემატიკაში (მათემატიკა ეკონომისტებისათვისძ, ასევე კითხულობდა სპეცკურსებს მათემატიკურ ანალიზსა და კომპლექსური ცვლილებების ფუნქციათა თეორიაში. მისი ლექციები გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით.**

**ბატონ სოსო მანიას გამოქვეყნებული აქვს ათეულობით სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის რუსულ და ინგლისურ ენებზე. მას ასევე მონაწილეობა აქვს მიღებული როგორც რესპუბლიკურ, ასევე საერთაშორისო კონფერენციებში.**

**ბატონი სოსო მანია გახლდათ უმაღლესი განათლების თვალსაჩინო მუშაკი, იგი იყო მაღალკვალიფიციური მეცნიერი და პედაგოგი, გამოირჩეოდა თავისი აკადემიურობით, განსაკუთრებული პედაგოგიური ტაქტით, იყო უაღრესად პრინციპული, სამართლიანი, მომთხოვნი საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, გულისხმიერი ადამიანი, ერთგული მეგობარი და დამრიგებელი.**

**ბატონ სოსოს ყოველივე ეს ოჯახური ტრადიციიდან მოსდევდა. მამა, ბატონი პოლიექტ მანია გახლდათ უმაღლესი სკოლის მასწავლებელი, მრავალი თაობების დამკვალიანებელი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, დაჯილდოებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის მედლით. იშვიათად ხდება, როცა ოჯახიდან სამი თაობა აგრძელებს ტრადიციას და ერთი და იმავე უმაღლესი სასწავლებლის აღზრდილია.**

**დედა - ქალბატონი ნათელა ბუკია ასევე იყო სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიური ფაკულტეტის აღზრდილი. 1949 წლიდან 30 წელზე მეტი მუშაობდა პედაგოგად ქ. სოხუმის პირველ საშუალო სკოლაში. ეს ტრადიცია გააგრძელა ბატონმა სოსომ და მისმა მეუღლემ ლელა ჩხაიძემ, რომელიც ასევე მეუღლის სოსო მანიას კურსელი და პედაგოგიური ინსტიტუტის აღზრდილია. ქალბატონი ლელა დღემდე აგრძელებს პედაგოგიურ მოღვაწეობას უნივერსიტეტში.**

**ბატონი სოსოს უფროსმა ვაჟმა ლაშა მანიამ გააგრძელა ბებია-ბაბუისა და დედ-მამის ტრადიცია და დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატი და მაგისტრატურა.**

**ღირსეული მამულიშვილის სოსო მანიას ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი ახლობლების, მეგობრების, კოლეგებისა და ასობით სტუდენტის გულში, რომელთაც მისი საინტერესო ლექცია მოუსმენიათ.**

**მსუბუქი იყოს შენთვის თბილისის მშობლიური მიწა, ბატონო სოსო...**

**დავით გურამიშვილის ქართულ-უკრაინულ საერთაშორისო უნივერსიტეტ „იბერიას“ რექტორატი და ადმინისტრაცია**

# ცნობა

## შპს „იოლიტა აგროს“ ქონების სარეალიზაციოდ განმეორებითი აუქციონის შედეგების შესახებ

**2010 წლის 11 იანვარს 17 საათზე ქ. თბილისში, აბუსერისძე-ტბელის №13 ჩატარდა განმეორებითი აუქციონი შპს „იოლიტა აგროს“ ქონების რეალიზაციის მიზნით.**

**განმეორებით აუქციონზე შპს „იოლიტა აგროს“ ქონება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე გამოტანილ იქნა სამ ლოტად.**

**ლოტების ჩამონათვალი**

ლოტი №1 — 99.7 ჰა მიწის ნაკვეთი ხობის რაიონი (საწყისი ფასი 100 000 ლარი, ბიჯის ღირებულება 5000 ლარიძ;

ლოტი №2 — 100 ჰა მიწის ნაკვეთი სენაკის რაიონის სოფელი თეკლათი (საწყისი ფასი 60 000 ლარი, ბიჯის ღირებულება 3000 ლარიძ;

ლოტი №3 — ხილის ჯემები შუშის 340 გრ. ქილებში ნახევარფაბრიკატი 26586 ქილა, მზა პროდუქცია 2742 ქილა (საწყისი ფასი 41 000 ლარი, ბიჯის ღირებულება 2000 ლარიძ;

ლოტი №1-ზე 2010 წლის 04 იანვარს ქ. თბილისში აბუსერისძე-ტბელის ქ. №13 შემოტანილი იქნა განაცხადი ფიზიკური პირის — დევი სტურუას მიერ და გადახდილ იქნა ლოტი №1-ზე მოთხოვნილი ბე.

ლოტი №2 და ლოტი №3 მიმართ განაცხადი არ შემოსულა.

ლოტი №1-ზე ბიჯის მინიმალური ღირებულება განსაზღვრული იყო 5000 ლარით.

განმეორებითი აუქციონი დაიწყო 2010 წლის 11 იანვარს 17.00 საათზე.

გასაყიდად გამოტანილ იქნა ლოტი №1 — მიწის ნაკვეთი ხობის რაიონში, სოფელი გურიფული, დაზუსტებული ფართობით — 949 999.6 კვ.მ.

(სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ხობის რაიონი სოფ. გურიფულში თანახმად 2007 წლის 1 მარტის ამონაწერისა საჯარო რეესტრიდან №45/04/02/323 სარეგისტრაციო ზონა — ხობი; კოდი — 45, სექტორი — სოფ. გურიფული; კოდი — 04; კვარტალი №02; ნაკვეთი — №323; ფართობი — 3000.4 კვ.მ.; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ხობის რაიონი სოფელი გურიფულში თანახმად 2007 წლის 1 მარტის ამონაწერისა საჯარო რეესტრიდან №45/04/02/357 სარეგისტრაციო ზონა — ხობი; კოდი — 45, სექტორი — სოფ. გურიფული; კოდი — 04; კვარტალი №02; ნაკვეთი — №357; ფართობი — 446999.2 კვ.მ.; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ხობის რაიონი სოფელ გურიფულში თანახმად 2007 წლის 13 მარტის ამონაწერისა საჯარო რეესტრიდან №45/04/02/357 სარეგისტრაციო ზონა — ხობი; კოდი — 45, სექტორი — სოფ. გურიფული; კოდი — 04; კვარტალი №02; ნაკვეთი — №148; ფართობი — 500000 კვ.მ.ძ.

ფიზიკურმა პირმა — დევი სტურუამ ლოტი №1-ზე ბიჯის აწევით დაადასტურა ლოტი №1-ით გამოტანილი მიწის ნაკვეთის (დაზუსტებული ფართობი — 949 999.6 კვ.მ.ძ შესყიდვის სურვილი 105 000 ლარად.

განმეორებით აუქციონზე ლოტი №2 და ლოტი №3 შესყიდვის სურვილი არ გამოთქმულა.

განმეორებითი აუქციონი დასრულდა 2010 წლის 11 იანვარს 18 საათზე.

## დაიჯესტი

### ადამიანის გენეტიკური რუკა

**ცოტა ხნის წინათ ჩიკაგოში გამართულ კონფერენციაზე პენსილვანიის უნივერსიტეტის სწავლულმა მარკ შრაივერმა სენსაციური განცხადება გააკეთა: „ამჟამად კრიმინალისტებს უკვე აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ დამნაშავის გარეგნობა და მისი რასობრივი წარმომავლობა დნმ-ის ანალიზის მიხედვით დაადგინონ“, — აღნიშნა მან.**



დნმ-კრიმინალისტური ანალიზის გამოყენებაში, რომელზეც მუშაობა კარგა ხანია მიმდინარეობს, რევოლუციური გარღვევა სერიული მკვლელის დერეკ ტოდის დანაშაულის მხილება გახდა, როცა სათანადო გამოკვლევის ჩატარების შემდეგ ექსპერტებმა მისი ფოტორობოტი შექმნეს და დაადგინეს, რომ იგი არა თეთრკანიანი, არამედ აფროამერიკული ყოფილა.

ამ წარმატებით ფრთაშესხმულმა მეცნიერებმა მუშაობა განაგრძეს და აღმოაჩინეს, რომ გენეტიკური კოდი ყველაზე მეტად ადამიანის ტუჩების კუთხეებსა და ცხვირის წვერზეა გამოკვეთილი. ახლა სპეციალისტები — საგანგებო კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით კაცის გარეგნობას მისი გენეტიკური ფრაგმენტის მიხედვით აღგენენ. **საგულისხმოა, რომ კაცის ინდივიდუალური გენეტიკური კოდის დადგენა კრიმინალისტებს ამჟამად იმ შემთხვევაშიც კი შეუძლიათ, თუკი მის კვალზე საკუთარი დნმ-ის ნიშანი კიდევ ორმა ასეულმა კაცმა დატოვა** (!ძ. აქამდე ადამიანის ინდივიდუალური გენეტიკური კოდის დასადგენად ბიოლოგიური ნაწილაკების ათი პროცენტის მოპოვება მაინც იყო საჭირო, ამჟამად კი საამისოდ ნაწილაკების მხოლოდ 0,1 მოპოვებაც კმარა.

— ახალი ტექნოლოგიისა და მეთოდის საშუალებით იმ ეჭვმიტანილის კვალის მიგნებაც კია შესაძლებელი, რომელმაც თუნდაც კიბის მოაჯირს შეავლო ხელი, რომელსაც მანამდე ათასობით ადამიანი შეხებია, — აცხადებენ ექსპერტები.

### ეს საცოდავი მარტორქები

**სპეციალისტების მონაცემებით, აფრიკის ცხოველთა სამყარო ლამის განადგურების პირასაა. ამის ერთ-ერთი მიზეზია ფაუნის ეგზოტიკურ წარმომადგენელთა მტაცებლური ხოცვა.** „წითელ წიგნში“ ამჟამად შეტანილნი არიან მარტორქები, ჰეპარდები, ნიანგები, გორილები, სპილოები და სხვა ცხოველები, რომლებსაც ბოლო წლებში, მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ძალისხმევის მიუხედავად, ბრაკონიერები სასტიკად ანადგურებენ.

ბუნების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით კი ბოლო ათი წლის მანძილზე, მაგალითად, კენიაში, უგანდასა და ჩრდილოეთ ტანზანიაში მარტორქების 90 პროცენტია განადგურებული.

### შვებულება... ანტარქტიდაში

**შვებულების ანტარქტიდაში გატარება გსურთ? კი ბატონო, არანაირი პრობლემა არ არის. სადღეისოდ ამერიკის შეერთებული შტატების მრავალ ქალაქში მოქმედებენ სპეციალური ტურისტული სააგენტოები, რომლებიც კლიენტებს სამხრეთ პოლუსზე ორკვირიან ტურს სთავაზობენ.**

ეგ ყველაფერი კი ასეა, მაგრამ ბოლო დროს ანტარქტიდის მკვლევარებმა განგაში ატეხეს.



საქმე ის არის, რომ გახშირდა ტურისტების მიმართ პრეტენზიები, რომლებიც უმოწყალოდ აბინძურებენ პირველქმნილ ანტარქტიდის ბუნებას და, საერთოდაც, ხელს უშლიან მის მკვლევარებს ყოველდღიურ მეცნიერულ მუშაობაში.

## დღის კალენდარი

### 21 იანვარი



ამოდის 07.23
ჩადის 17.02



ამოდის 09.49
ჩადის 23.12

**ხსენება წმიდა მოწამისა აბო თბილელისა — თბილისში წამებულისა (786წ.ძ; ღირსთა: გიორგი ქოზიბელისა (VIIძ, დომნიკა კონსტანტინეპოლელისა (დაახლ.474ძ და ემელიანე აღმსარებელისა (IXძ, გრიგოლ საკვირველმოქმედისა და ილია მეუდაბნოისა; მოწამეთა: ივლიანესი, ვასილისასი, კელსისა, ანტონისა, ანასტასი ხუცისა, მარიონილასი, კარტერისა, თეოფილე დიაკონისა და ელადისა; ღირსისა გრიგორი კიევ-პეჩორელიასა (1093ძ; მღვდელმოწამე ისიდორე ხუცისა და მისთანა 72-თა მოწამეთა (1472ძ; ღირსისა აგათონისა (Vძ; ატიკე კონსტანტინეპოლელი პატრიარქისა (Vძ; კვიროს კონსტანტინეპოლელი პატრიარქისა (VIIIძ; გრიგოლ მიზიის ეპისკოპოსისა (1012ძ**

#### დაიბადნენ:

**1855 — ჯონ ბრაუნინგი,** ამერიკელი გამომგონებელი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის კონსტრუქტორი. გარდაიცვალა 1926 წელს.

**1862 — ვალერიან გუნია,** მსახიობი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1938 წელს.

**1869 — თედო რაზიკაშვილი,** მწერალი, პედაგოგი. გარდაიცვალა 1922 წელს.

**1871 — მოსე თოიძე,** ფერმწერი, გრაფიკოსი. გარდაიცვალა 1953 წელს.

**1892 — ბორის კუფტინი,** ცნობილი თბილისელი არქეოლოგი. გარდაიცვალა 1953 წ.

**1911 — ვახტანგ მახალდიანი,** მეცნიერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი. გარდაიცვალა 1982 წელს.

**1941 — პლასიდო დომინგო,** ესპანელი ლირიკული ტენორი.

#### გარდაიცვალნენ:

**1793 — ლუი XVI,** საფრანგეთის მეფე 1774-1792 წლებში.

**1921 — ლენინი (ვლადიმირ ულიანოვიძ,** რუსი რევოლუციონერი, სსრკ-ს დამაარსებელი.

#### მოვლენები:

**1654** — პერეიასლავის რადაზე დადგინდა, რომ უკრაინა უერთდება რუსეთს.

**1793** — საფრანგეთის მეფე ლუი XVI რევოლუციის მოედანზე თავი მოკვეთეს.

**1846** — გამოვიდა დოსტოევსკის პირველი ნაწარმოები „საბრალონი“.

**1954** — აშშ-მ გაუშვა ატომურრეაქტორიანი პირველი წყალქვეშა ნავი „ნაუტილუსი“.

**მედიანიუსი**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6997 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4306 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7222 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.6309 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.4979 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1164 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1286 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1574 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4900 ლარი |



### ამინდი დღეს



| | |
|---|---|
| თბილისი. | +3 – +7 |
| ქუთაისი. | +13 – +15 |
| ბათუმი. | +14 – +17 |
| ზუგდიდი. | +12 – +14 |
| თელავი. | +3 – +8 |

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

ყველაზე სულელური საქციელი ტყუპი ქალიშვილების დაბადების დღეზე ჩავიდინე, როდესაც ერთ-ერთ მათგანს ვუთხარი, განუმეორებელი ხარ-მეთქი.

* * *

— ძვირფასო, მერწმუნე, შენი ერთი სიტყვა საკმარისია იმისათვის, რომ ბედნიერი გამხადო, — ეუბნება ტიპი ქალს. — გამომყვები ცოლად?

— არა.

— რა ბედნიერი ვარ!

* * *

— საკუთარი გამოცდილებით მრავალგზის დავრწმუნდი, რომ ყოველი მეორე არყის ბოთლი ფალსიფიცირებულია, — ამბობს ვასკა. ერთ ბოთლს თუ დალევ. დილით კიდევ არა გიშავს, მაგრამ საკმარისია, მეორეც გამოწრუპო, რომ მაშინვე გრძნობ — მოიწამლე.



* * *

— თქვენ ძმები ხართ?

— არა, ჩვენ ტყუპები ვართ.

— მერე რა, ტყუპები არ შეიძლება ძმები იყვნენ?

— ყოველთვის არა, მაგალითად, ჩვენ დები ვართ.

* * *

მიხოს გოგო მოეწონა და ცდილობს, როგორმე დაითრიოს.

— ქალიშვილო, ქალიშვილო ერთი წუთით შეიძლება?

— მერე ერთ წუთში რამეს მოასწრებ?

— როგორც შევძლებ.

— როგორც შეძლებ, ისე ცოლთან იჯახირე, ჩემთან კი, თუ რამე გინდა, ისე უნდა გააკეთო, როგორც საჭიროა!

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150.
ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.